# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№92 (9772) 2024 წლის 12 აგვისტო. ორშაბათი

ფასი 1 ლარი




# ეს გაუმარჯოს პარიზის ცის ქვეშ ქართული გენის ადიდგორებას!









1121.12.08
2024.12.08

წინ, საქართველო!

## შესანიშნავმა შვიდეულმა დიდგორობა მოგვილოცა:

**ოქრო!**

ლაშა ბექაური
გენო პეტრიაშვილი
ლაშა ტალახაძე

**ვერცხლი!**

ტატო გრიგალაშვილი
ილია სულამანიძე
გივი მაჭარაშვილი

**ბრინჯაო!**

ლაშა გურული

**გილოცავთ!**

პრიზიორები დაჯილდოვდებიან ღირსების ორდენით, ოლიმპიური ჩემპიონები – წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით!

## ბიძინა ივანიშვილი ჩვენს ოლიმპიელებს ჩემპიონობას ულოცავს!

გილოცავთ, საქართველოს კიდევ ორი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს – ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი. გამაოგნებელი და აღმაფრთოვანებელია ის სპორტული მიღწევები, რასაც კარიერაში ლაშა ტალახაძემ მიაღწია. ჩვენმა ძალოსანმა არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო სპორტის ისტორია დაწერა და პარიზში, ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე ზედიზედ მესამე ოქროს მედალი მოიპოვა, აღარაფერს ვამბობ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სადაც ჩვენს გმირ ოლიმპიელს 14 ოქროს მედალი აქვს მოგებული.

ასევე, მინდა, ოლიმპიური ჩემპიონობა მივულოცო სახელოვან ქართველ ფალავანს გენო პეტრიაშვილს. ის არის მაგალითი, თუ რა შედეგი მოაქვს უდრეკ ხასიათს და მიზნისკენ სწრაფვას. ბრაზილიაში, რიოს ოლიმპიადაზე მოგებული ბრინჯაოს მედალი, ხოლო შემდეგ იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მოპოვებული ვიცეჩემპიონობა გენომ პარიზში დამსახურებული ოლიმპიური ჩემპიონობით დააგვირგვინა და მსოფლიოს გასაგონად საქართველოს ჰიმნი ააჟღერა. კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩვენს ღირსეულ, გმირ ოლიმპიელებს ამ უდიდეს გამარჯვებას.

10 აგვისტო, 2024 წელი

თემურ ქორიძე

**ხაზარაძე — ქართულ კონტრიბუციად მსოფლიო კულტურის საგანძურში**

4

**დავიბრუნოთ აფხაზეთი!**

5

**სიტყვა საქმედ ვაქციოთ!**

ვანო ჩხიკვაძე

**„შენ ვარდები გიკრეფია“... იყო კაცი!**

7

## სახელმწიფო ღალატი



6

## საკანდალური საქმის გამოძიება იწყება

# ირაკლი კობახიძე: არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის გმირობა, რომელიც შინდისის გმირებმა ჩაიდინეს!



**დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ შინდისის გმირებს, ჩვენი ვალია, არასოდეს დავივიწყოთ ის გმირობა, რომელიც მათ ჩაიდინეს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს შინდისში განუცხადა.**

**მთავრობის მეთაურის თქმით, შინდისის გმირები არიან პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის და თავგანწირვის მაგალითი.**

„დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ შინდისის გმირებს, ჩვენი ვალია, არასოდეს დავივიწყოთ ის გმირობა, რომელიც მათ ჩაიდინეს. უფრო მეტიც, ეს გმირობა არის ის, რაც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს. ამ ბიჭებმა აჩვენეს გაუტეხელი ქართული სული. მინდა, მადლობა გადავუხადო ამ გმირების მშობლებს, რომლებმაც ასეთი გმირები აჩუქეს სამშობლოს. მათ მოგვცეს ჩვენ პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის და თავგანწირვის მაგალითი. ჩვენი ვალია, ამ გმირების წინაშე, რომ ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის და მშვიდობის შენარჩუნებისთვის ამ ქვეყანაში“, – განაცხადა პრემიერმა.

ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ დამყარდეს მშვიდობა ჩვენს რეგიონში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გუშინ განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა უკრაინას ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი უსურვა.

„ჩვენ ვაკვირდებით მოვლენების განვითარებას. ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ დამყარდეს მშვიდობა ჩვენს რეგიონში. რაც შეეხება უკრაინას, ვუსურვებ ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს“, – განაცხადა პრემიერმა.

# „გადავტვირთოთ“ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები!

**„საინტერესო შეხვედრა მქონდა აშშ-ის სენატორ ჯინ შაჰინთან და კონგრესმენ მაიკ ტერნერთან, სადაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები განვიხილეთ.** კიდევ ერთხელ აღვნიშნე საქართველოს მზადყოფნა ჩვენი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განახლებისა და გადატვირთვისთვის, რათა გავაძლიეროთ ორმხრივი კავშირები და ხელი შევუწყოთ მეტ განვითარებას, კეთილდღეობას, მშვიდობასა და უსაფრთხოებას რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ“, თქვა გუშინ ირაკლი კობახიძემ.



# ოპოზიციისთვის შემაშფოთებელია „ქართული ოცნების“ რეიტინგი!

**მთავრობის მეთაურის თქმით, ოპოზიციაში ხედავენ, რომ საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერს იმ პოლიტიკას, რომელსაც წარმართავს „ქართული ოცნება“.**

„ოპოზიცია დღეს ცდილობს, ისაუბროს იმ გზავნილებით, რომლითაც ჩვენ ვსაუბრობთ მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში, მათ შორის, მაგალითად, გვარამიამ დაიწყო საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ არ უნდა დაწესდეს რუსეთისთვის სანქციები, ღია უნდა იყოს საქართველო რუსი ტურისტებისთვის. რასაც ჩვენ ვამბობდით ოთხი წლის განმავლობაში, იმის ლაპარაკი მოინდომა უკვე ძალიან გვიან, ახლა, რადიკალურმა ოპოზიციამ. ასეთი გზავნილები ვერ იქნება წარმატებული. ყველას ძალიან კარგად ახსოვს საქართველოში, რას ამბობდნენ ეს ადამიანები გასული ოთხი წლის განმავლობაში. მაგალითად, გვარამია არის პოლიტიკოსი, რომელიც ავითარებდა სიტყვა დესამშობლოიზაციის კონცეფციას და დღეს ის საუბრობს სამშობლოს მესიჯებით. ასეთ ფარსს საქართველოს მოსახლეობა არ იყიდის. ეს ფუჭი მცდელობაა!..

# საზოგადოება „ქართული“: არ გვგონია, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისადმი უსამართლო მოპყრობა არაფერს შესძენს ამერიკას, ვნებით კი ავნებს

**„ჩვენ დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, თავისუფლება და თანასწორობაზე, მეგობრობაზე დამყარებული საერთაშორისო პარტნიორობა გვინდა. მთავრობებს ხალხი ირჩევს და ცვლის და არა საელჩოები, ამაზე უნდა შევთანხმდეთ, თუ გვინდა მეგობრობა“ – ამის შესახებ საზოგადოება „ქართულის“ განცხადებაშია აღნიშნული.**

როგორც განცხადებაში წერია, კარგი იქნება, თუკი ამერიკის ელჩი და საელჩო საქართველოში, ითანამშრომლებს საზოგადოებისა და კულტურის იმ წარმომადგენლებთან, რომლებსაც, შესაძლოა, ელჩისა და თქვენი ამჟამინდელი ქართული პოლიტიკისაგან განსხვავებული შეხედულებები აქვს.

მათივე თქმით, მეგობრობა მხოლოდ სასურველი ფრაზების მოსმენა არაა. მეგობრობა დიალოგი და ურთიერთმსახურებაა, პარტნიორობაა, რომელიც სიკეთისა და ჰარმონიის, ალტრუიზმის პრინციპებზე დგას და რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია.

ლეგენდის თანახმად, სოლომონ მეფის ბეჭედზე მეორე წარწერაც ყოფილა: „ესეც წარმავალია“. იმედია, რუსეთ-უკრაინის ომი მალე დასრულდება, მიმდინარე ვიწრო პოლიტიკური ინტერესები კი ისტორიას ჩაბარდება და, ამის კვალობაზე, ჩვენი ურთიერთობებიც სასიკეთოდ შეიცვლება. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა მაგალითია მსოფლიოს ხალხებისთვის და არ გვგონია, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისადმი უსამართლო მოპყრობამ რამე შესძინოს ამერიკას, ვნებით კი ავნებს, რადგანაც ამერიკული ძლევამოსილება სწორედ რომ თანასწორობასა და „ამერიკულ ოცნებაზე“ დგას და მისი სულის მოკვლით გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებთ მის ძლიერებას“. – წერია განცხადებაში.

# ისნის რაიონში საქართველოს ეროვნული გმირის ალექსანდრე ონიანის სახელობის ქუჩა გაიხსნა




**თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით და საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისში, ისნის რაიონში, საქართველოს ეროვნული გმირის, შინდისის ბრძოლის მონაწილის ალექსანდრე ონიანის სახელობის ქუჩა გაიხსნა.**

ღონისძიება თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ გახსნა.

მისი თქმით, თითოეული მოქალაქის ვალია ახსოვდეს, თუ რა გამოიარა ქვეყანამ აგვისტოს ომის დროს და ახსოვდეს ის სახელოვანი გმირები, რომლებმაც ქვეყნის დამკოუკიდებლობისთვის ბრძოლას სიცოცხლე შესწირა. ღონისძიებას საკრებულოს დეპუტატები, ალექსანდრე ონიანის ოჯახის წევრები, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ირაკლი ჭიჭინაძე, ლოჯისტიკური სარდალი, ბრიგადის გენერალი კახა ტაბატაძე, თავდაცვის სამინისტროს სამხედროები, მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„შინდისის გმირი“, უმცროსი სერჟანტი ალექსანდრე ონიანი 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 11 აგვისტოს 27 წლის ასაკში გმირულად დაიღუპა. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსან (გარდაცვალების შემდეგ) სამხედროს 2021 წელს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

# „ქართული ოცნების“ პრესსამსახური OCCRP-ის სტატიაზე: ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის დღიდან ცდილობენ რაიმე სახის მაკომპრომეტირებელი ფაქტის მოპოვებას, მაგრამ სიცრუის და ტყუილების მეტი ვერასოდეს ვერაფერი მოიფიქრეს

# რა სასაცილოა ეს

**„ქართული ოცნების“ პრესსამსახური პარტიის დამფუძნებლისა და საპატიო თავმჯდომარის შესახებ „ორგანიზებული კრიმინალისა და კორუფციის გამოძიების პროექტის“ (OCCRP)-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს.**

როგორც „განცხადებაშია აღნიშნული, სტატია აგებულია ცრუ ინფორმაციაზე, ხოლო ფაქტები, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ისედაც ადასტურებს, წარმოჩენილია როგორც „სენსაცია“ და „სკანდალური ამბავი“.

ასევე, განცხადებაში ხაზგასმულია, რომ 1998 წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახი რუსეთის ფედერაციაში აღარ ყოფილა და არც რაიმე სახის ქონება შეუძენია.

**„გვსურს, გამოვეხმაუროთ „ორგანიზებული კრიმინალისა და კორუფციის გამოძიების პროექტის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიას „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინე ხვედელიძის შესახებ.**

**პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული სტატია აგებულია ცრუ ინფორმაციაზე, ხოლო ფაქტები, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ისედაც ადასტურებს, წარმოჩენილია როგორც „სენსაცია“ და „სკანდალური ამბავი“. კერძოდ, მტკნარი სიცრუეა ის გარემოება, რომ თითქოს მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარემ რამდენიმე თვის წინ რუსეთის ფედერაციაში რაიმე სახის ქონება შეიძინა. მსგავსი ტყუილების გავრცელება ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე არათუ არ ჯდება რაიმე სახის ჟურნალისტურ სტანდარტებში, საერთოდ გაუგებარია, რა მიზანი ამოძრავებთ სტატიის ავტორებს. 1998 წლის შემდეგ, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს რუსეთში**



# რა დაავიწყდა „საქართველოს პირველ პირს“ ბიძინა ივანიშვილის კისრიდან ჩამოხტომის შემდეგ



## ისე, რა დებატები აუტყდა „სახელმწიფოს პირველ პირს“, რისი იმედი აქვს? ხომ ახსოვს ორი-სამი კვირის წინათ პრეზიდენტობის კანდიდატ ტრამპთან დებატებმა პრეზიდენტ ბაიდენის საპრეზიდენტო იმედები გადაიყოლა...

**2008 წლის აგვისტო საქართველოსთვის XXI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უამური თარიღია, პირქუში – სისხლიანი, გმირულიცა და სამარცხვინოდ მოსაგონარიც. 16 წელი გავიდა მას შემდეგ და ვნებები არ დამცხრალა. ოღონდ, მოსაგონარს ყველა ისე იგონებს, როგორც მას ახსოვს და იმას არ დაგიდევს, მართლა ასე იყო თუ არა...**

7 აგვისტოს, პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ გამოაქვეყნა მრავალმხრივ საყურადღებო განცხადება, რომლის მთავარი მესიჯი იმ ომის სათანადო სამართლებრივი შეფასების აუცილებლობაა. და ეს უსათუოდ მოხდება არჩევნების შემდეგო.

განცხადებაში ნათქვამია, რომ 2008 წელს ჩადენილ დანაშაულზე ჩვენ დღემდე მხოლოდ მინიშნებით ვსაუბრობდით, რასაც თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდაო. როგორც ცნობილია, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესები სტრასბურგსა და ჰააგაში, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების უდიდესი ძალისხმევით საქართველოს გამარჯვებით დასრულდა. ახლა, როდესაც სრულად არის გადავლილი იმის თეორიული რისკიც კი, რომ საქართველოს, ქართულ ჯარს, ან თუნდაც ერთ ქართველ ჯარისკაცს ვერავინ ვერაფერში დაადანაშაულებს, საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა გაიგოს სრული სიმართლე და ყველა ფაქტს სრულყოფილი სამართლებრივი შეფასება მიეცესო.

ყურადღება მახვილდება იმ ფაქტზეც, რომ ნაცმოძრაობა 7 აგვისტოს აცხადებს ომის დაწყების დღედ, ანუ ხელოვნურად ცვლის ომის დაწყების თარიღს, თუმცა, არაერთ დოკუმენტშია დადასტურებული, რომ რუსი სამხედროები და რუსული სამხედრო ტექნიკა როკის გვირაბის გავლით საქართველოში 8 აგვისტოს შემოვიდნენ, რაც მაშინდელი ხელისუფლების პროვოკაციული მოქმედების შედეგი იყო (7 აგვისტოს, ღამის 11 საათიდან ცხინვალის დაბომბვა).

ამ ადამიანებს 2008 წელსაც გააზრებულად მოუწყვეს უმძიმესი პროვოკაცია და გარედან მიღებული ანტისახელმწიფოებრივი დავალება სრულიად გააზრებულად შეასრულებინეს. ვისგან მოდიოდა ეს დაკვეთა და ვის დავალებას ასრულებდნენ მაშინდელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები, სწორედ საჯარო სამართლებრივი პროცესი გაარკვევს!

თუ რატომ შეცვალეს ომის დაწყების თარიღი 8 აგვისტო 7 აგვისტოდ, ნაცმოძრაობის ლიდერები ამ კითხვას დუმილით პასუხობენ.

ყველაფრის თავი და თავი მიხეილ სააკაშვილი კი თავს გმირად აცხადებს, ტყვეობაში იმიტომ მამყოფებენ, რომ მტერს საქართველო არ ჩავაბარე და 2008 წელს „ჩვენმა ჯარმა მაგრად დადგომით, ხალხმა ქუჩაში გამოსვლით, მე თბილისში დარჩენით და მსოფლიოს ფეხზე დაყენებით, ჩვენმა პარტნიორებმა თბილისში ჩამოსვლით, ამერიკელებმა ფლოტის გამოგზავნით საქართველოს სახელმწიფოებრიობა გადავარჩინეთ“, – ბრძანებს ეს ეშმაკის კერძი ყოფილი პრეზიდენტი და ჰგონია, რომ თავისი არსებობით გვაბედნიერებს წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც.

არადა, როგორც აწინდელი მოწიფული ქართველები ბავშვობაში ვიტყოდით: ოპ, ზილინა, ზილინა!..

* * *

ჩვენს ოპოზიციასთან და მის გლახადენაადგმულ ახალ ლიდერთან სალომე ზურაბიშვილთან, უკანასკნელ ხანს სრულიად განსხვავებული „სიმართლეები“ იკვეთება, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს „ქართული ოცნების“ მიერ დაპირებული საჯარო სამართლებრივი პროცესების აუცილებლობაზე, რომლებმაც ჭეშმარიტება უნდა დაადგინონ.

საქართველოს პრეზიდენტმა, ანუ როგორც თვითონ თავის თავს უწოდებს, ქვეყნის პირველმა პირმა, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი ორბელიანთა სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე დებატებში გამოიწვია, რათა მან „ახსნას თავისი ზოგიერთი პოზიცია, რადგან თვლის, რომ ბიძინა ქვეყნის მთავარი მმართველია, სახელმწიფოს პირველი პირი მე ვარ, მაშინ მოვიდეს და გვითხრას, რას ერჩის ქვეყანას. ვერავინ ვერ გავიგეთ რეალურად სად არის, რა უნდა, რატომ უნდა და საერთოდ რას უპირებს ქვეყანას, ხომ უნდა გვითხრას არჩევნებამდე მაინც. ისე რომ, ერთი კარგი დებატი მაინც გველოდებაო“, – ჩაგვიფრანციცულა პირველმა პირმა, რომელსაც არ შეიძლება არ ახსოვდეს, ქვეყნის მთავარ მმართველს როგორ ეჯდა კისერზე და ისე მოიკვალავდა გზას „სახელმწიფოს პირველ პირამდე“. მაშინ მშვენივრად იცოდა, რაც უნდოდა ამ კაცს, რატომ უნდოდა და რას უპირებდა ქვეყანას. გაივაკა, ბიძინას კისრიდან ჩამოხტა და დაავიწყდა ქ-ნ „სახელმწიფოს პირველ პირს“, ახლა სად არის ის კაცი, რა უნდა და რატომ უნდა...

**არც ის უნდა დავიწყებოდა ქ-ნ პრეზიდენტს, რომ ბიძინა ივანიშვილი, თუ ის ამის აუცილებლობას და საჭიროებას არ ხედავს, უადგილო და უშინაარსო შეხვედრებზე, დებატებსა და ინტერვიუებზე იოლად დასაყოლიებელი კაცი არ არის. სალომე რომ იჭაჭება, დებატებში გამომყვესო, თუნდაც ეს გავიხსენოთ:**

**ამასწინათ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯეიმს ო' ბრაიენი იყო ჩამოსული და ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ისურვა, მაგრამ ბიძინამ არ ისურვა!.. და შეხვედრაც არ შედგა.**

ისე, რა დებატები აუტყდა „სახელმწიფოს პირველ პირს“, რისი იმედი აქვს? ხომ ახსოვს ორი-სამი კვირის წინათ პრეზიდენტობის კანდიდატ ტრამპთან დებატებმა პრეზიდენტ ბაიდენის საპრეზიდენტო იმედები გადაიყოლა...

შალვა პაპუაშვილი მიიჩნევს, რომ ზურაბიშვილი თანამდებობას... სააკაშვილის წყალობით შემორჩა, ნაცმოძრაობამ ის იმიტომ დაიტოვა, რომ, როდესაც საჭიროდ ჩათვლის და მოამწიფებს მდგომარეობას, სალომე ზურაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილის შეწყალების აქტი გამოსცეს.

სხვათა შორის, ზურაბიშვილმა ახლახან პრესკონფერენციაზე ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად განაცხადა, რომ „სააკაშვილი ჯერ არ არის აქტუალური. დღეს აქტუალურია, რა მომავალი ექნება საქართველოს. ჯერ საქართველო უნდა გადავარჩინოთ და მერე სააკაშვილის ბედიც იქნება თავის ადგილზეო“.

**მაგრამ ეშმაკს არ სძინავს, ვინ იცის, რა როდის გახდება საჭირო. ჰოდა, 2 აგვისტოს საქართველოს ექსპრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს (რომელსაც 6 წელზე მეტი აქვს მისჯილი) საზღვრის უკანონო კვეთის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. მოსამართლის თქმით, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში“. (არ იზამს თუ?) ასეა თუ ისე, 9 თვით შეწყალების აქტის გამოცემამ ჩაილულის წყალი დალია...**

* * *

**ახლა** „საერთაშორისო“ საკითხებზე.

ამ ბოლო დროს, თითქოს კითხვები გვაკლდეს, ასეთი შეკითხვაც მწვავედ დაისვა – რატომ არ ხარობს საქართველოში ბაობაბი?

ამ გიგანტური ხის რვა ძირი ჩამოიტანა ბიძინა ივანიშვილმა კენიიდან შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, რვავე გამხმარა. რატომ? რა მოხდა?

რაც მთავარია, ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ ბაობაბმა საქართველოს კლიმატს ვერ გაუძლო, ან მიწა ვერ იგუა.

აღმოჩნდა, რომ ბაობაბები ჩვენი გაათფთრებული ოპოზიციის წყევლა-კრულვამ, სისინმა, კენიის ხელისუფლებაში დასმენამ, მათ შორის პრეზიდენტ ზურაბიშვილის დონეზე (?!), ბოროტმა ჭორებმა, გადმორგვისთვის გამზადებული მცენარეები თავიდანვე დასაღუპად გაწირა.

ესეც თქვენ, თვალნათლივი მაგალითი, რომ შეძახილმა ხე გაახმო!

* * *

**აშშ-ის** პრეზიდენტს ჯო ბაიდენს, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გამორჩა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი თარიღი – 2008 წლის ომის 16 წლისთავი და გულისხმიერი წერილი გამოუგზავნა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს.

მასში ნათქვამია, რომ აშშ მტკიცედ რჩება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. იმავდროულად პრეზიდენტი იმედგაცრუებას გამოთქვამს საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ანტიდემოკრატიული ნაბიჯების გამო და მიესალმება დემოკრატიული მომავლისადმი საქართველოს მოსახლეობის ურყევ ერთგულებას, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამოქალაქო საზოგადოებას, განსხვავებული შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოხატვითო.

რა საგულისყუროა, ვინ დაუწერა გამოპრუტუნებულ პრეზიდენტს ეს გულის ამაჩუყებელი სიტყვები! თურმე როგორ ნერვიულობს ჩამოწერილი ჯო ბაიდენი „საქართველოს მთავრობის ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებზე“ და ქართველი ხალხის აბსოლუტურული უმრავლესობის ნების მოსაშლელად, როგორ აგულიანებს ის ნაცებს და სამოქალაქო საზოგადოებას „ქართული ოცნების“ გასანადგურებლად!..

პრეზიდენტის წერილის კვალდაკვალ თბილისს ეწვივნენ აშშ სენატორი ჯინ შაჰინი და კონგრესმენი მაიკ ტერნერი ორპარტიული ვიზიტის ფარგლებში. ერთობ ფიცხელი საუბრები გაიმართა მთავრობის მეთაურთან, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. სენატორები და კონგრესმენები ისევ თავისას უბერავენ!..

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო გვიმრავლდება სტუმრიანობა. ასეთია მოვლენათა ლოგიკა. ოღონდ, სამწუხაროდ, ყველა სტუმარი როდია ყველას სტუმარი, ზოგი იმისია, ზოგი ამისი...



**ალეკო ასლანიშვილი**

# წყეული ტყუილები

**არანაირი ქონება არ შეუძენია. უფრო მეტიც, ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახის არც ერთი წევრი რუსეთის ფედერაციაში 1998 წლის შემდეგ არ გამგზავრებულა.**

**რაც შეეხება ტყუილებზე აგებული სტატიის კიდევ ერთ, მანიპულაციურ ნაწილს – არავისთვის დასამალი არ არის, რომ წლების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი სწორედ რუსეთში მოღვაწეობდა და აქტივების დიდი ნაწილი ამ ქვეყანაში დააგროვა. 2013 წელს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ღიად მიუთითებდა, რომ მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე რუსეთის დედაქალაქში ფლობდა საცხოვრებელ სახლს და სამ მიწის ნაკვეთს. შესაბამისად, იმ ინფორმაციის „სკანდალად“ წარმოჩინების მცდელობა, რაც 11 წელია ისედაც საჯაროა და ეს ყველაფერი დეკლარაციაშია ასახული, მიანიშნებს ერთადერთ რამეზე – სტატიის ავტორს აქვს დაკვეთა, რომ მოურიდებლად გაავრცელოს არასწორი ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილსა და მის ოჯახზე. ეს შეგვიძლია ჩავთვალოთ იმ 13-წლიანი ისტერიის გაგრძელებად, რასაც რიგი უცხოური და ადგილობრივი რადიკალური ოპოზიციის კონტროლირებადი მედია განუწყვეტლად ცდილობს, თუმცა ვერც ერთ შემთხვევაში მათთვის სასურველი ვერანაირი შედეგი ვერ მიიღეს. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის დღიდან ეს ადამიანები ცდილობენ რაიმე სახის მაკომპრომეტირებელი ფაქტის მოპოვებას, მაგრამ სიცრუის და ტყუილების მეტი ვერასოდეს ვერაფერი მოიფიქრეს, რადგან ბუნებაში არ არსებობს ფაქტი, რომელიც მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ შეიძლება არსებობდეს.**

**ტყუილებით გაჯერებული სტატიის მომზადების პერიოდში მის ავტორს, ვინმე კელი ბლოსს ჰქონდა კომუნიკაცია მმართველი პარტიის პრეს-სამსახურთან, თუმცა მათ მიერ გადმოგზავნილ კითხვებში პირდაპირ იკვეთებოდა, რომ არანაირი აზრი მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას არ ჰქონდა და ჩვენთვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ სტატია განსაზღვრული გახლდათ ივანიშვილისა და მისი ოჯახის შესახებ ცრუ და მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელებისათვის.**

**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება – დაშვების დონეზე, ყველაფერი სწორედ ისე რომ იყოს, როგორც სტატიაში წერია, ავტორების მიერ მოყვანილი არც ერთი ტყუილი გარემოება არავითარ კანონდარღვევას არ შეიცავს – არც ქონების შეძენა და არც მისი ფლობა. თუმცა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ 1998 წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახი რუსეთის ფედერაციაში აღარ ყოფილა, ასევე 1998 წლის შემდეგ არანაირი ქონება არ შეუძენია.**

**ამ ამბავში ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ტყუილებზე აგებული სტატიის გამავრცელებელ მედიას აფინანსებენ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიც არიან „ღია საზოგადოების ფონდი“ (სოროსის ფონდი), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ამერიკის დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED), შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA) და სხვა.**

**მოვუწოდებთ სტატიის ავტორს და მის დამსაქმებელ მედიას, ასევე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აფინანსებენ სიცრუეზე დაფუძნებულ პროპაგანდას, შემდეგ ჯერზე თავი შეიკავონ აშკარა ტყუილების ტირაჟირებისგან, ასევე დონორებმა გაიზიარონ პასუხისმგებლობა სიცრუის გავრცელებაზე და შემდგომში საფუძვლიანად გადახედონ მსგავსი მედიების დაფინანსების საკითხს.“ – ნათქვამია განცხადებაში.**

# ხაზარაძე – ქართულ კონტრიბუციად მსოფლიო კულტურის საგანძურში



**უკვე თექვსმეტი წელიწადია, ეს დღე იწყება კიდევ ერთხელ იმაზე დავით, ვინ დაიწყო ომი – რუსეთმა თუ საქართველომ? დაიწყო 7 თუ 8 აგვისტოს. მოქმედი ხელისუფლება გულზე ამაყად მჯიღებს იცემს, რომ სწორედ მან აღადგინა ისტორიული სამართლიანობა – საერთაშორისო სასამართლოს დონეზე დაამტკიცა, რომ იმ სამარცხვინო ომის ინსპირატორიც, წამომწყებიც და დამამთავრებელიც იყო რუსეთი, ხოლო ომი დაიწყო არა 7, არამედ სწორედ 8 აგვისტოს.**

დიდი მადლობა მთავრობას ამისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის აგრესორობის თუნდაც საერთაშორისო აღიარება ჩვენთვის ვერაფერი შეღავათია – საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტს დღემდე რუსეთი აკონტროლებს. უკვე 16 წელიწადია, ამ საკითხზე რუსეთთან მოლაპარაკების დაწყება ვერ ხერხდება და, რაც მთავარია, უკვე ავადმყოფურ უილაჯობაში გადაიზარდა გაუთავებელი სპეკულაციები რუსული აგრესიით.



კაცმა რომ თქვას, მადლობას მე კი არა, ჩვენს მთავრობას ნაცხროვა და მისი უთავბოლო ბელადი უნდა უხდიდეს. არა მგონია, ვინმეს დავიწყებოდა 2008 წლის 7, 8 და 9 აგვისტოს მაშინდელი პრეზიდენტის ყოვლად უაზრო სატელევიზიო ბაქიბუქი – ჩვენ შევედით ცხინვალში, ჩვენ დავამარცხებთ რუსებს, ჩვენ დავიბრუნებთ სამაჩაბლოს... საქართველოს ისტორიაში მარადიულ სირცხვილად დარჩება სააკაშვილის ინიციატივით მოწყობილი საყოველთაო გრანდიოზული ზეიმი წაგებული ომის აღსანიშნავად სამაჩაბლოში დაღუპული ქართველი ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის გვამების ფონზე!

**ძალიან მოკლედ, 2007 წელს განვითარებული მოვლენები გავიხსენოთ: კოდორის ხეობიდან ქართული შეიარაღებული რაზმის გამოყვანა, საბრძოლო იარაღის საწყობებში დატოვება, ამ რეგიონისთვის „ზემო აფხაზეთის“ დარქმევა და ახალგორის რაიონის ახალ „სამხრეთ ოსეთად“ გამოცხადება. მეტიც, 2007 წლის 10 მაისს დიდმა ნაცბელადმა სააკაშვილმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად შეიქმნა ახალი „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაცია, რომლის პრეზიდენტად (არაფერი მეშლება - სწორედაც პრეზიდენტად!) დაინიშნა ვინმე დიმიტრი სანაკოევი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ იარაღით ხელში იბრძოდა საქართველოს წინააღმდეგ! და, სხვათა შორის, ამას არც მალავდა – ამ თემაზე მასთან მისაუბრია კიდეც. საგულისხმო ფაქტია, რომ აგვისტოს ომის დამთავრებისთანავე მადლიერმა კრემლმა მიშას მეგობარი დიმა ცხინვალის პრეზიდენტად დანიშნა და 2022 წლამდე ამ პოსტზე იმყოფებოდა.**

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ახალგორთან დაკავშირებით. 1990 წელს მაშინდელი ცეკას პირველი მდივნის გივი გუმბარიძის ინიციატივითა და ეროვნული მოძრაობის მოთხოვნით, ახალგორი გამოეყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს. ანუ 1990 წლიდან ახალგორი და ქსნის ხეობა არ შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ 1991 წელს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ სტატუსი საერთოდ გააუქმა. არც იმაზე ღირს ბევრი ლაპარაკი, რომ კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ არასოდეს რქმევია და ეს რეგიონი აფხაზეთის ნაწილი არასოდეს ყოფილა. იმის თქმა მინდა, რომ ახალი „სამხრეთ ოსეთისა“ და „ახალი აფხაზეთის“ შესაქმნელად არავითარი ისტორიული, ადმინისტრაციული ან საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობდა, არავითარი!

ვფიქრობ, დასკვნის გამოტანა რთული არ უნდა იყოს – 2008 წლის აგვისტოს ომი იყო პუტინისა და სააკაშვილის ერთობლივი, შეთანხმებული ავანტიურა საქართველოზე, მთლიანად სამხრეთ კავკასიაზე კრემლის კონტროლის დამყარების მიზნით.

**დაუჯერებელია, სააკაშვილს და მის „ჩემს გუნდს“ საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი და მახლობელ აღმოსავლეთზე კონტროლის პერსპექტივა კრემლისთვის უანგაროდ ებოძებინათ. დიდი ალბათობით, პატრიოტი სააკაშვილ-კეზერაშვილი და მათი მხარდამჭერები დღესაც კრემლიდან მაშინ მიღებულ ფულს ხარჯავენ.**

**ყველაზე გულსატკენი კი ის გახლავთ, რომ დღევანდელმა ახალგაზრდა თაობამ ამის შესახებ ბევრი არაფერი იცის და ადვილად ებმება თაღლითი, ცრუ პატრიოტების გადმოგდებულ ანკესზე.**

* * *

**როგორც** მოსალოდნელი იყო, გასულ კვირაში გაგრძელდა თითიდან გამოწოვილი აჟიოტაჟი საქართველოსთვის, კერძოდ, ე. წ. ლუგარის ლაბორატორიისთვის ამერიკული დაფინანსების შეწყვეტის თაობაზე. ხელისუფლების განმარტებით, ეს არის დაახლოებით 2 მილიონი დოლარი წელიწადში. რა თქმა უნდა, სამშობლოზე და კაცობრიობის მომავალზე მზრუნველი მრავალთავიანი ქართული ოპოზიცია არაფერს ამბობს იმ პერსონაზე, ვისი ფულით და მონდომებით აშენდა ეს ლაბორატორია და ვინც მას დღემდე აფინანსებს; არაფერს ამბობს რუსეთზე, რომელიც წლების განმავლობაში დაჟინებით მოითხოვდა ამ სამეცნიერო დაწესებულების დახურვას... ვითარება მართლაც უცნაურია: ჩვენი ისტორიული მეგობარი ამერიკის თეთრი სახლი დაფინანსებას უწყვეტს ლუგარის ლაბორატორიას, რომლის დახურვას უკვე რამდენი წელია დაჟინებით მოითხოვს... „კაცობრიობის მტერი“ რუსეთი!

გასაგებია, რომ პრობლემა თითიდან გამოწოვილია – ლუგარის ლაბორატორიას წელიწადში ორმილიონიანი ამერიკული დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაშიც კი არავითარი საფრთხე არ ემუქრება. გაუგებარია თითქმის მთელი ქართული ოპოზიციური სპექტრის იდიოტური „ლუგარული“ ლოგიკა.

ლუგარი იქით იყოს და, გასულ კვირას მართლაც გასაოცარი ამბები დატრიალდა ბიძინა ივანიშვილთან, მის ოჯახთან და... ვიცი, დაჯერება გაგიჭირდებათ – ივანიშვილის მიერ შარშან კენიიდან ჩამოტანილი კენიისთვის დიდი არაფერი, მაგრამ ჩვენთვის ყოვლად ეგზოტიკურ ბაობაბებთან დაკავშირებით. ოპოზიცია მოითხოვს „ბაობაბების საქმის“ გამოძიებას – რატომ გახმა ბიძინა ივანიშვილის მიერ შარშან კენიიდან საქართველოში ჩამოტანილი 8 ბაობაბი!

ქართველმა კაცმა საქართველოსთვის, ჩვენი სამშობლოსთვის შორეულ კენიაში კერძო პირებისგან 2021 წელს შეიძინა ბაობაბის ხეები, რასაც მშობლიურ ქვეყანაში ბაოოპოზიციის მხრიდან ისეთი ისტერიკა მოჰყვა, კენიის ხელისუფლებაც რომ გააოცა. ყოვლად აბსურდული ვაი-ვიში თითქმის ორ წელიწადს გაგრძელდა. საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ ორ წელიწადს მიწაში გადარგვის მომლოდინე ბაობაბებმა ვეღარ გაუძლეს და გარდაიცვალნენ. ჩვენი ოპოზიცია ახლა იმის გამოძიებას მოითხოვს, რატომ გახმა კენიური ბაობაბი!

ოპოზიცია იმის გამოძიებასაც მოითხოვს, რატომ იმყოფებოდა ბიძინა ივანიშვილი ოჯახთან ერთად რუსეთში... 1998 წელს!

ბიჭოოოო, რას გადაეკიდეთ ამ ბიძინა ივანიშვილს – საქმის კაცმა, ბიზნესმენმა ოდესღაც რუსეთში ფული იშოვა და ამდენი წელიწადია საქართველოში ხარჯავს. თქვენ ის იკითხეთ, საიდან იშოვეს ფული მიშა სააკაშვილმა, დედამისმა, ბიძამისმა, კეზერამ, კირკიტაძემ, ადეიშვილმა...

მართლაც საოცარი ოპოზიცია გვყავს. კინაღამ წამომცდა, საოცრად ბრიყვი-მეთქი!

აი, ამ საოცარი სიბრიყვის კლასიკური ნიმუშია გასულ კვირას პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ ბიძინა ივანიშვილის საჯარო დებატებში გამოწვევის მცდელობა. არანაკლებ ბრიყვულად გამოიყურება ვითარების დატკბობა, მერე – გამხამიანება, მერე ისევ დატკბობა და ამ ბოლო კვირას ისევ ჩამხამება ყოფილ და მოქმედ პრეზიდენტებს, მიშასა და სალომეს შორის.

* * *

**თავისი** ღრმა ფილოსოფიური გამოსვლით გასულ კვირას კიდევ ერთხელ გაგვაოცა „ლელოს“ წინამძღოლმა ხაზარაძემ. გთავაზობთ მისი გამოსვლის ფრაგმენტს თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმანის გარეშე: ***„რა სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს? – ალბათ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის თავიდან შეცნობა, საკუთარ თავში ჩაღრმავება, საკუთარი და ერის მისიის ხელახალი გააზრება – რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით, რა არის ჩვენი ქვეყნის და ხალხის ფუნქცია 21-ე საუკუნის აბობოქრებულ მსოფლიოში, სადაც ტექნოლოგიები, ინოვაციები ასე სწრაფად ვითარდება და მსოფლიოს გეოპოლიტიკური გადანაწილების მცდელობები მიმდინარეობს... რა გავაკეთოთ ისეთი, სადაც ჩვენს ქართულ კონტრიბუციას შევიტანთ მსოფლიოს კულტურულ, ეკონომიკურ ცხოვრებაში. თუ ამას დროზე არ გავაკეთებთ, უბრალოდ გავქრებით, იმიტომ რომ, თუ რამეს არ ქმნი და არ გასცემ, ესე იგი არ ვითარდები. თუ არ ვითარდები, საინტერესო არ ხარ, არავის სჭირდები, ესე იგი დეგრადირდები, ესე იგი შენი პროდუქტი ან სერვისი არ სჭირდებათ, ხდები „აუტსაიდერი“.***

***სწორედ ამიტომ უნდა ამოვიცნოთ ჩვენი თავი, კარგად ჩავუღრმავდეთ და ვიპოვოთ ის, რისი კეთებაც შეგვიძლია, ან რაშიც ვიქნებით კონკურენტუნარიანები მსოფლიო მასშტაბით. დიახ, მსოფლიო მასშტაბით – სხვა დონე არ გვაწყობს!.. ილია სწორედ ამაზე წუხდა, სწორედ ამ ფუნქციას ეძიებდა ჩვენი ერისთვის, ამიტომ ავირჩიეთ ჩვენს გზამკვლევად და გეგმად ილიას გზა“.***

**აჰა, ხაზარაძის ოპონენტები კიდევ გაიმეორებთ, რომ მისი სახით საქართველოს თუ მთლად ილია ჭავჭავაძე არა, თანამედროვე წალენჯიხის გამგებლის დონის ფილოსოფოსი და მოჭირნახულე არ მოევლინა?!**

**ვაღიარებ, რომ ტერმინ „კონტრიბუციის“ მნიშვნელობიდან გამომდინარე, მე უვიცი ვერ მივხვდი, რას ნიშნავს „ქართული კონტრიბუციის შეტანა მსოფლიოს კულტურულ, ეკონომიკურ ცხოვრებაში“. ხომ არ აჯობებდა, კონტრიბუციის სახით პირადად ბატონი ხაზარაძე და მისი „ლელო“ შეგვეტანა რუსეთის ბიუჯეტში? – ვინ იცის, საქართველოდან მიტაცებული ტერიტორიების სანაცვლოდ, იქნებ, 20 კვადრატული მეტრი დაებრუნებინათ. ესეც საქმეა!**

* * *

**გასულ** კვირას საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ამერიკელი სენატორი ჯინ შაჰინი და კონგრესმენი მაიკ ტერნერი. ორივე ეს პატივცემული პერსონა ჩვენი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი თავისი უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულებით საქართველოს ხელისუფლებისადმი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების გამო. პრეზიდენტ ზურაბიშვილისა და დანარჩენი ოპოზიციის კვალდაკვალ, ჯიუტად იმეორებენ, რომ ჯერ კიდევ 1938 წელს აშშ-ში მიღებული კანონის (ე. წ. „ფარა“) ქართული ანალოგი არის „რუსული“. სენატორი და კონგრესმენი



შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობის წევრებს, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს და კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი უანგარო სიყვარული საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. ისიც მიგვანიშნეს, ამ სიყვარულის ფასად, რასაც გეტყვით, ის უნდა აკეთოთ და, საერთოდ, ჭკუით მოიქცეთ, ხაზეს და თინა ბოკუჩავას დაუჯეროთო!

* * *

**რუსეთ-უკრაინის** უკიდურესად გასასტიკებული სამხედრო დაპირისპირების ფონზე, გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაციები აშშ-ის მხრიდან უკრაინისთვის დამატებით 125 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო დახმარების შესახებ. საუბარი ეხება **HIMARS**-ის სისტემის საბრძოლო მასალას, 155 მმ და 105 მმ საარტილერიო ჭურვებს, **Stinger**-ის ტიპის რაკეტებს, **Javelin**-ისა და **AT**-4-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო სისტემებსა და **TOW**-ს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს. შევიტყვეთ ისიც, რომ უცხოეთიდან გრანდიოზული რაოდენობის შეიარაღებას მიიღებს რუსეთიც. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ – საუბარია ორივე მეომარი მხარის სამხედრო აღჭურვილობით მომარაგებაზე და არცერთი სიტყვა საზავო მოლაპარაკებების დაწყებაზე!

ეს ქმედებებიც ძალიან ჰგავს უზარმაზარი ფულის კეთებას რუსეთ-უკრაინისა და დანარჩენი მსოფლიოს ფეხებზე დაკიდების ფასად.

* * *

**გასულ** კვირას უკიდურესად დაიძაბა ვითარება მსოფლიო მასშტაბით. განსაკუთრებით ეს ეხება რუსეთ-უკრაინის ომს. მართალია, გვახარებს უკრაინის ბოლოდროინდელი საბრძოლო წარმატებები, მაგრამ ისიც საფიქრებელია, რომ რუსეთი ამას არ ჩაყლაპავს და უსასტიკეს კონტრზომებს მიიღებს.

სასტიკი შურისძიებით იმუქრება ჰეზბოლას ბელადი ჰასან ნასრალა ისრაელის მიერ ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში ჰეზბოლას ერთ-ერთი ლიდერის ფუად შუქრის მკვლელობის გამო. ისრაელს და მის მოკავშირეებს, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს, ემუქრება ირანიც, რომელიც „საჭიროების შემთხვევაში“ ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობაზეც საკმაოდ არაორაზროვნად მიანიშნებს. თავის მხრივ, უკან დახევას არც ამერიკით ზურგგამაგრებული ისრაელი აპირებს. პრემიერ ნეთანიაჰუს განცხადებით, ისრაელი ჰამასის სრულ განადგურებამდე იბრძოლებს და ეს დღე შორს არ არის.

* * *

**ვენესუელა-აშშ-ის** არცთუ მეგობრული ურთიერთობა რომ გვერდზე გადავდოთ, გასულ კვირაში უკიდურესად გამწვავდა ვითარება დიდ ბრიტანეთში. უიღბლო აღმოჩნდა ლეიბორისტი პრემიერის კიმ სტარმერის „თაფლობის თვე“. ოპოზიცია მას უკვე ადანაშაულებს უმოქმედობაში. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ორშაბათს, ქალაქ საუთპორტში ცეკვის სკოლაში დანით შეიარაღებული პირის თავდასხმის შედეგად სამი ბავშვი დაიღუპა. სამართალდამცავებმა 17 წლის თავდამსხმელი ბიჭი დააკავეს. ბრიტანელებმა ჩათვალეს, რომ მკვლელი ვინმე ემიგრანტი ტერორისტი იქნებოდა და დაიწყო თავდასხმები ემიგრანტებზე როტერჰემში, ტამუორთში, მიდლსბროში, ბოლტონში, ჰალსა და ვეიმუთში. საპროტესტო გამოსვლებმა შეაზანზარა ბირმინჰემი და პლიმუთი. გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა პირობა დადო, რომ „გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა ამ ავაზაკების მართლმსაჯულების წინაშე წარსადგენად“.

* * *

**ორიოდე სიტყვით საქართველოში შექმნილ მართლაც შემაშფოთებელ საგზაო შემთხვევებზე. ოფიციალური მონაცემებით, შარშან საგზაო შემთხვევებს 442 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დაშავდა 7310 ადამიანი. წლევანდელი 6 თვის სტატისტიკაც დაახლოებით იგივეა, ოდნავ ნაკლები. სამწუხაროდ, ამ მონაცემებით საშუალო ევროპულ მაჩვენებელს თითქმის ხუთჯერ ვუსწრებთ! მიზეზებზე ბევრი ლაპარაკი ალბათ არ ღირს – სულსწრაფობა და უყურადღებობა...**



**თეიმურაზ ქორიძე**

# დავიბრუნოთ აფხაზები! სიტყვა საქმედ ვაქციოთ!

## 14-წლიანი პაუზის შემდეგ სერგეი შამბა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს დაუბრუნდა!



**აფხაზური წყაროები შამბას „მთავრობაში“ დაბრუნების ორ სავარაუდო მიზეზს ასახელებენ: მწვავე საკადრო კრიზისსა და ე.წ. პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას სურვილს – შეძლებისდაგვარად შეამსუბუქოს ხალხის რისხვა, რაც აფხაზეთში რუსეთისთვის სასურველი კანონების ლობირებას მოჰყვა.**

სერგეი შამბა თბილისთან ყოველთვის დიალოგის მომხრე და მოსურნე იყო. ამის გამო ის ოკუპირებულ აფხაზეთში არაერთხელ გაკიცხეს, მიუხედავად იმისა, რომ მას არასდროს გადაუდგამს კომპრომისული ნაბიჯები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისკენ.

სერგეი შამბა დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი უკვე მესამედ გახდა. 1997 წლიდან, ჯამში, ამ პოსტზე 13 წლის განმავლობაში მუშაობდა.

თავის ძველ, ახალ სამსახურში შამბა 7 აგვისტოს მივიდა, რუსეთთან ერთად დასავლეთის ქვეყნებიც გაიხსენა და თქვა, რომ ახლა მას სულ სხვაგვარ დროში უწევს მუშაობა:

„არაერთხელ მითქვამს, რომ აფხაზეთის ახალგაზრდა დიპლომატია ყალიბდებოდა შეხებითა და თანამშრომლობით ისეთ დიდ დიპლომატიურ სკოლებთან, როგორიც აქვთ რუსეთს, ბრიტანეთს, გერმანიას, ამერიკას, საფრანგეთს და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობით. ეს იყო სხვა არა მარტივი, რთული დრო. ახლა არანაკლებ რთული დროა, იცვლება მსოფლიოს სისტემა და აფხაზეთი ჩართულია ამ პროცესში“;

„ჩვენ უნდა მოვემზადოთ სერიოზული რყევებისთვის. თუკი ვაწარმოებთ სწორ საგარეო და საშინაო პოლიტიკას, მაშინ შევძლებთ თავი ავარიდოთ ბევრ უბედურებას“.

უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე შამბა შეცვალა რაულ ლოლუამ, რომელიც მანამდე არ დაამტკიცეს გუდაუთის რაიონული ადმინისტრაციის უფროსად.

სერგეი შამბა ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა

დე ფაქტო რესპუბლიკის ლიდერმა, ასლან ბჟანიამ შამბას დანიშვნას 6 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო 7 აგვისტოს მინისტრი“კოლექტივს ბჟანიას მოადგილემ ბადრა გუნბამ წარუდგინა.

„ჩვენ ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ სერგეი მირონოვიჩმა – აფხაზი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილემ, ომის შემდგომ პერიოდში არსებითი წვლილი შეიტანა ჩვენი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, – თქვა გუნბამ და დაამატა, რომ შამბას დიპლომატიურობა, პროფესიონალიზმი და გამოცდილება ყოველთვის საჭირო და სასარგებლო იყო“.

### დიალოგი, კომუნიკაცია

**შამბას** ოკუპირებული აფხაზეთის გარეთაც იცნობენ, განსაკუთრებით კარგად კი რამდენიმე მოვლენის გამო:

**2006 წელს** შამბა თბილისში ჩამოვიდა, როცა ოკუპირებული აფხაზეთიდან სამშვიდობო გეგმა („მომავლის გასაღები“) ჩამოიტანა. მასში იყო დიალოგისა და დაახლოების მზაობა, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ინტერესი;

2005 წელს სერგეი შამბა, საქართველოს დელეგაციასთან ერთად, ავტონომიურ რეგიონში – სამხრეთ ტიროლში (იტალიის ჩრდილოეთით, ავსტრიის საზღვარზე) ჩავიდა, რისთვისაც სოხუმში მწვავედ გააკრიტიკეს. „უშიშროების საბჭოს მდივანმა“ სტანისლავ ლაკობამ თქვა, რომ ტიროლის ავტონომიური რეგიონის მაგალითი „აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოს“ არ გამოადგება. შამბა ირწმუნებოდა, რომ ამ მხრივ კომპრომისებზე წასვლა არც უფიქრია.

* * *

**შამბას** წლების განმავლობაში არ შეუცვლია პოზიცია, რომ დიალოგს ალტერნატივა არა აქვს.

2023 წლის ნოემბერში სერგეი შამბა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (დევნილობაში) დეპუტატ, ვახტანგ ყოლბაიას ვიდეოჩართვით ესაუბრა და ამისთვისაც გაკიცხეს. საუბარს ჟურნალისტი უძღვებოდა.

ამ შეხვედრაზე შამბამ თქვა, რომ „საჭიროა კავშირების სხვადასხვა არხების ამოქმედება“ და, რომ „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი შვილებსა და შვილიშვილებს არ უნდა გადაეცეს“:

**„მე არაერთხელ მისაუბრია ამ თემაზე და აფხაზურ საზოგადოებაში ბევრს არ მოსწონს ჩემი პოზიცია, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ, თუ არის პრობლემა, პირველ რიგში უნდა ისაუბრო. არ არსებობს მეზობელი, ახლობელი ან თუნდაც მონათესავე ხალხები, რომლებსაც ერთმანეთთან არ უომიათ. მთელი ევროპა ამის მაგალითია“, – აცხადებდა სერგეი შამბა.**

ვახტანგ ყოლბაიამ რადიო თავისუფლების რუსულენოვან პროგრამას „ეხო კავკაზას“ უთხრა, რომ მისთვის მოულოდნელობა იყო სოხუმიდან თანამდებობის პირის („უშიშროების საბჭოს მდივანი“) დიალოგზე დათანხმება. მისი განცხადებით, პოლიტიკურ დონეზე საუბრის შესაძლებლობაზე ლაპარაკი არ არის, თუმცა შესაძლოა – იყოს ეკონომიკაზე.

**„არ მოველოდი, რომ დამელაპარაკებოდა“** – თქვა ვახტანგ ყოლბაიამ შამბასთან ონლაინშეხვედრის შესახებ

* * *

**– „ჩვენი „აღთქმული მიწა“, ანუ ქართული ოცნებაა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 40 წლისთავზე, 2030 წელს, ვიცხოვროთ ერთიან და ძლიერ საქართველოში ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ერთად. ერთიანი და ძლიერი საქართველო უნდა გახდეს 2030 წელს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ 26 მაისს – დამოუკიდებლობის დღეს.**

### რატომ დააბრუნეს?

სერგეი შამბას „საგარეო საქმეთა მინისტრის“ პოსტზე დაბრუნება ოკუპირებულ აფხაზეთში არავის გაჰკვირვებია, რადგან მთელი თვის განმავლობაში, მოარული ხმები სწორედ ასეთ მოლოდინს აჩენდნენ. იმასაც ამბობდნენ – რომ შამბა ამ ინიციატივით მოხიბლული არ იყო.

„რეალურად, პრეზიდენტ ბჟანიას ხელთ არსებული საკადრო პოტენციალის გათვალისწინებით, სხვა არჩევანი არც იყო“, – წერს გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას“ მთავარი რედაქტორი ინალ ხაშიგი თავის ტელეგრამარხზე და იქვე განმარტავს, რომ „მინისტრის“ მოვალეობის შემსრულებელს ოდისეი ბიგვავას არც დიპლომატიური გამოცდილება ჰქონდა, არც პოლიტიკური წონა და ის ერთი ჩვეულებრივი ფუნქციონერი იყო.

„ახლა, როცა მწვავედ გაკრიტიკებული საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის გამო, საზოგადოების მთელი რისხვა უპირატესად მისკენ (ასლან ბჟანიასკენ) არის მიმართული, მას, ერთი მხრივ, აქვს სურვილი, რომ ბედის ეს დარტყმები მარტომ არ მიიღოს, ხოლო, მეორე მხრივ – მინისტრმა შეძლებისდაგვარად უნდა მოაგვაროს (პრობლემები)...

ხოლო ამ როლისთვის ფუნქციონერი არ გამოდგება. საჭიროა პოლიტიკური ფიგურა, ბუნებრივია – დიპლომატიური მუშაობის გამოცდილებით. ამ პარამეტრებს – ბჟანიას ახლო გარემოცვიდან, აკმაყოფილებს მხოლოდ ერთი ადამიანი – სერგეი შამბა“, – წერს ხაშიგი და, სავარაუდოდ, მიუთითებს ბოლო პერიოდში ბჟანიასკენ მიმართულ საზოგადოებრივ რისხვაზე, რომელიც „აპარტამენტების კანონმა“ და რუსი ინვესტორებისთვის სასათბურო პირობების შექმნის ინიციატივებმა გამოიწვია.

„აპარტამენტების კანონი“, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს უძრავი ქონების ხელში ჩაგდების საშუალებას მისცემდა, მასშტაბური პროტესტის გამო „პარლამენტიდან“ ისევ უკან გაიწვიეს. აფხაზეთში ხალხის პროტესტმა შეაჩერა „აგენტების კანონის“ დამტკიცებაც. მანამდე ბჟანიას მმართველობის მიმართ მნიშვნელოვანი უკმაყოფილება წარმოშვა ე.წ. ბიჭვინთის აგარაკების რუსეთისთვის გადაცემამ – პროტესტის მიუხედავად, ხალხმა ამ პროცესის შეჩერება ვერ მოახერხა.

ექსპერტების შეფასებით, შამბა ხალხში გაცილებით მაღალი რეიტინგით სარგებლობს, ვიდრე მისი წინამორბედი ინალ არძინბა, რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ამ წლის მაისის დასაწყისში გაათავისუფლეს. თუმცა მან თქვა, რომ პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა და მოსკოვში ახალ თანამდებობას ელოდება.

შამბას პოლიტიკას ექსპერტები ხშირად „პროაფხაზურს“ უწოდებენ, ხოლო არძინბა „რუსეთის კაცად“ იყო ცნობილი.

**ლელა კუნჭულია**
**რადიო „თავისუფლება“**



# სახელმწიფო ღალატი

## სკანდალური საქმის გამოძიება იწყება



**N1633 – ეს არის ევროსაბჭოს რეზოლუცია, რომელსაც ხელს აწერს „ნაციონალური მოძრაობა“ და ამით ომის დაწყებაში სწორედ ქართულ მხარეს ადანაშაულებს. აღსანიშნავია, რომ ამ დანაშაულებრივ რეზოლუციას ყოფილმა ხელისუფლებამ, ქვეყნის ოკუპაციიდან დაახლოებით ორ თვეში დაუჭირა მხარი. იმის მიუხედავად, რომ რეზოლუცია საჯაროა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები უკომენტაროდ ტოვებენ კითხვას – რატომ დაუჭირეს მხარი 2008 წლის ევროსაბჭოს რეზოლუციას.**

„ქართულ ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ ყოფილი ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებით არსებობს მთელი რიგი კითხვები, რომელიც აგვისტოს ომიდან 16 წლის შემდეგაც უპასუხოდ რჩება და ეს სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს. მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ განვითარებისთვის და გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად მნიშვნელოვანია, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცეს. გამოძიების დაწყება დაანონსებულია და უნდა ველოდოთ, რომ არჩევნების შემდეგ დაიწყება საქართველოს უახლოეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური საქმის გამოძიება. პარალელურად, „ქართული ოცნება“ აპირებს აღადგინოს ღალატის მუხლი, რომელიც სწორედ ყოფილი ხელისუფლების ინიციატივით გაქრა სისხლის სამართლის კოდექსიდან.

**2008 წლის ომთან დაკავშირებული ყველა ისტორიული საქმე სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოებში საქართველოს სასარგებლოდ დასრულდა. 2008 წლის აგვისტოს ომის საქმესთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს მიერ დადასტურებულია, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ოკუპირებულია რუსეთის მიერ.**

რუსეთის ფედერაცია, როგორც ოკუპანტი სახელმწიფო, პასუხისმგებელია ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებების მასობრივ დარღვევაზე;

2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ რუსეთს 130 მილიონამდე ევროს გადახდის ვალდებულება დააკისრა ომის დროს დაზარალებული 24 000-მდე საქართველოს მოქალაქის სასარგებლოდ;

2022 წლის ბოლოს ჰააგის პროკურორმა დაასრულა აგვისტოს ომის საქმეზე გამოძიება ქართული მხარის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის თუ სხვა ნებისმიერი სახის გადაცდომის გამოვლენის გარეშე;

2022 წელს ჰააგის სასამართლომ დაკავების ორდერები გამოსცა ცხინვალის რეგიონის სამი „მაღალჩინოსნის“ მიმართ აგვისტოს ომის დროს ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის და გამოიკვეთა აწ გარდაცვლილი რუსი გენერლის პასუხისმგებლობა;

**2024 წლის 9 აპრილს საქართველომ მოიპოვა კიდევ ერთი ისტორიული გამარჯვება რუსეთის წინააღმდეგ განგრძობადი ოკუპაციის საქმეზე. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლოს თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთი განგრძობითად ახორციელებს უკანონო „ბორდერიზაციის“ პროცესს, რაც მასობრივად არღვევს საქართველოს მოსახლეობის უფლებებს. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება არის წინა პირობა იმისა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დაიწყოს გამოძიება.**

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ მაღალჩინოსნებს და მათ შორის საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, სამშვიდობო ძალების სარდალს მამუკა ყურაშვილს, გენერალური შტაბის უფროსს ზაზა გოგავას, თბილისის მერს გიგი უგულავას, შს მინისტრს ვანო მერაბიშვილს, თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს და სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებს მოუწევთ უპასუხონ გამოძიების კითხვებს -– როგორ აღმოჩნდა საქართველო რუსეთის პირისპირ ომში? რატომ შეუცვალეს სტატუსი კოდორს, ახალგორს?

რატომ გადაარქვეს სახელი კოდორს ზემო აფხაზეთად და ტყვიის გასროლის გარეშე გადააბარეს რუსეთს? წაგებული ომიდან ორ თვეში რატომ მოაწერეს ხელი რეზოლუციას, სადაც საქართველოს, კერძოდ კი ქართველ სამხედროებს დააბრალეს ომის დაწყება? რატომ გადამალეს „ისკანდერის“ ნაწილები, რომელიც მთავარი სამხილი უნდა ყოფილიყო სტრასბურგის სასამართლოში და რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მოიძია და რომლის საფუძველზეც დაერქვა რუსეთს ოკუპანტი ჯერ სტრასბურგის სასამართლოში, შემდეგ კი ჰააგაში.



„ქართული ოცნების“ წევრი **ირაკლი ქადაგიშვილი** აცხადებს, რომ გასარკვევი და გამოსაკვლევია პროვოკაცია, რასაც 2008 წელს მიხეილ სააკაშვილი წამოეგო და ეს მისი უგუნურობის შედეგი იყო თუ გამიზნული ნაბიჯების ლოგიკური დასასრული. როგორც ქადაგიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, კარგად დასანახია მთელი ის პროცესი, რასაც ომის დაწყებამდე ჰქონდა ადგილი.

**„ფაქტია, რომ 2008 წელს მიხეილ სააკაშვილი პროვოკაციას წამოეგო. ეს პროვოკაცია როგორ და რანაირად მოხდა, გამოძიება და ფაქტებისა და პროცესების შესაბამისი ანალიზი სწორედ ამას სჭირდება. კარგად უნდა დავინახოთ მთელი ის პროცესი, რომელიც ომის დაწყებამდე მიმდინარეობდა. გვახსოვს, გერმანიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ვალტერ შტაინმაიერის ვიზიტი, რომელმაც საქართველოში აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების გეგმა ჩამოიტანა. გვახსოვს, როგორ მოიშორა ეს გეგმა და მისი ჩამომტანი მიხეილ სააკაშვილმა. ამიტომ ბევრი რამ არის გასარკვევი და გამოსაკვლევი – პროვოკაცია, რასაც მიხეილ სააკაშვილი წამოეგო, იყო მისი უგუნურობის შედეგი თუ გამიზნული ნაბიჯების ლოგიკური დასასრული“,** – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.



„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, თბილისის მერი **კახა კალაძე** აცხადებს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

**რატომ გადაარქვეს სახელი კოდორს ზემო აფხაზეთად და ტყვიის გასროლის გარეშე გადააბარეს რუსეთს?**



თემა არის იმ დანაშაულის გამოძიება, რაც 2008 წლის აგვისტოს ომს უკავშირდება.

**„დღეს „ქართულ ოცნებას“ აქვს რეალური შანსი იმისა, რომ კონსტიტუციური უმრავლესობით მოვიდეს ხელისუფლებაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა არის იმ დანაშაულის გამოძიება, რაც 2008 წლის აგვისტოს ომს უკავშირდება. ამ გაუაზრებელი ქმედებებით, პოლიტიკით, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა, ეს იყო ერთმნიშვნელოვნად ქვეყნის ღალატი. ამ ყველაფრის შედეგად ჩვენ დავკარგეთ ტერიტორიები, მშვიდობიანი მოსახლეობა, გმირი ჯარისკაცები. უმძიმესი შედეგები მიიღო საქართველომ, შესაბამისად, მნიშვნელოვანია დეტალური გამოძიება, თუ რა მოხდა რეალურად და ყველას გაეცეს შესაბამისი პასუხი“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

ანალიტიკოსი, პარტია „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** აცხადებს, რომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით



არსებობს კითხვები, მაგალითად, ხომ არ იყვნენ ზეწოლის ქვეშ მოღალატეობრივ რეზოლუციაზე ხელმომწერი დეპუტატები, რა იყო საქართველოს დელეგაციის ბრიუსელში ვიზიტის წარუმატებლობის მიზეზი 2008 წლის სექტემბერში და რატომ არ იქნა განხილული რუსეთის სანქცირების საკითხი?

**„გუშინ მედია-სვავების მხრიდან ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ ერთ-ერთი „ჩამჭრელი“ კითხვა იყო: „რის გამოძიებას აპირებთ 2008 წლის ომთან დაკავშირებით? რა გაქვთ კიდევ გასარკვევი და ა.შ.“ მე მაგალითად, ასე ვუპასუხებდი – პირველ რიგში, წერტილი უნდა დაესვას იმ ქართველი დეპუტატების „ბულინგს“, რომლებსაც ბრალი ედება 2008 წლის ოქტომბრის N1633 რეზოლუციაში შეტანილი ჩანაწერისთვის, სადაც ისინი ომის დაწყებაში ქართულ მხარეს ადანაშაულებენ.**

**ერთხელ და სამუდამოდ საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის ფარგლებში უნდა გავარკვიოთ: ხომ არ იყვნენ ეს დეპუტატები ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ? ხომ არ იყო მათზე განხორციელებული რაიმე ფსიქოტროპული ნივთიერებებით ზემოქმედება? ჰქონდათ თუ არა რეზოლუციის ხელმოწერამდე მის ტექსტთან წინასწარ გაცნობის შესაძლებლობა? ხომ არ ჰქონდათ მცდელობა – გაეპროტესტებინათ ეს ტექსტი და რა შედეგი მოჰყვა ყოველივე ამას? საპარლამენტო კომისიამ უნდა მისცეს ამ ადამიანებს საკუთარი შელახული რეპუტაციის რეაბილიტირების საშუალება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაეცეს პასუხი იმას, თუ რა გარემოებებით იყო განპირობებული 2008 წლის სექტემბრის ბოლოს ბრიუსელში ქართული დელეგაციის – ლადო გურგენიძის, ეკა ტყეშელაშვილის, თემურ იაკობაშვილის წარუმატებელი ვიზიტი, სადაც ჩვენი დელეგატები არც კი მიიღეს ოფიციალურ დონეზე, სასტუმროს დერეფანში ჰავიერ სოლანას შემთხვევით გამოჭერას თუ არ ჩავთვლით.**

**ევროსაბჭოს მიერ, რომელსაც საფრანგეთი თავმჯდომარეობდა, რატომ არ იქნა განხილული რუსეთის მიმართ სანქციების შემოღების თეორიული შესაძლებლობაც კი: ეს მოხდა ქართული დელეგაციის თხოვნის, მოსკოვის მუქარის, ბრიუსელის ღალატისა თუ ვაშინგტონის მითითების გამო? ღიად და უპასუხოდ დარჩენილ ბევრ სხვა შეკითხვას შეუძლია ახადოს ფარდა მომავალმა საპარლამენტო კომისიამ, ხოლო მედია-სვავების კითხვაზე თუნდაც ამ ორის შეხსენებაც კმარა“...**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**




# „შენ ვარდები გიკრეფია"...

**მწერალთა კავშირის ბაღში, ძელსკამზე ჩამომჯდარი ოთარ მამფორია, იგივე „მამფი," იმ დროს ჯერ კიდევ დამწყებ, რამდენიმე ახალგაზრდა მწერალს, ჩვეულ „სტილში" გვმოძღვრავდა, ტრადიციული ქართული სუფრა, თავისი თამადობის „ინსტიტუტით", სადღეგრძელოებით, მრავალხმიანი სიმღერებით, ჩვენი კულტურის სერიოზული ნაწილიაო, რომ უცებ „თემას გადაუხვია, შორიახლო, „აკაკის წყაროსთან" მოსაუბრე ორი მწერლისკენ გაგვახედა და გვითხრა – იმ მძიმე ათწლეულებში, როდესაც ბეზღობა-დასმენის ეპიდემიამ იფეთქა, დიდი გასაქანი მიეცა, ჩვენს მწერლურ ოჯახშიც ცოტამ არ წაიწყმიდა სული.**

ახალგაზრდები ხართ და მინდა იცოდეთ, რომ ახლაც, სულგანათლებული სარაჯიშვილის დანატოვარ შენობაში მხოლოდ ანგელოზები არ დადიან... აიმ ორიდან, ერთის რა გითხრათ და მეორე კი სუფთად ნაცხოვრები კაციაო.

თავად მამფიც „სუფთად ნაცხოვრები" იყო და მის ნათქვამს გადასინჯვა-გადამოწმება არ სჭირდებოდა – ის „მეორე", მანამდე ჩემთვის ფიზიკურად უცნობი, მაგრამ რადიოს მუსიკალური გადაცემებიდან არაერთხელ მოსმენილი, პოპულარული, ამღერებული ლექსის ავტორი გამოდგა.

ალექსანდრე შანიძის, ბატონი ალიოს გულში დაბადებული სტრიქონები და მელოდია ბედნიერად შეერწყნენ, შეეთვისნენ ერთმანეთს და სიმღერა დაბადებისთანავე გახალხურდა, აიტაცეს შემსრულებლებმა და მოხიბლა მსმენელი.

„თავდაპირველად იყო სიტყვა", ლექსად აკინძული სიტყვა-სიყვარულის საგალობელი, უბრალო, გასაგები მომაჯადოებელი და ამაღლებული:

**„ჩემო ტკბილო მეგობარო,**
**შენი ნახვა მენატრება...**
**ყოველდღე და ყოველღამე**
**გულს დარდები ეტანება...**
**კიდევ მოვალ, კიდევ გნახავ,**
**გულს ედება სინანული,**
**შენ ვარდები გიკრეფია,**
**მე კი შენი სიყვარული."**

სტრიქონებში გამხელილი, სევდანარევი მონატრება, უფლისმიერი გრძნობის თანმხლები და სამშვენისია.

ქვეყანაში, სადაც ქვა და ჩუქურთმაც კი მღერის, შენს ამოთქმულს რომ გულის „ხმას"ააყოლებენ, ცოტას არ ნიშნავს...

გავიდა დრო, ბატონ ალიოსთან „დისტანციური" სალამ-ქალამი გულითად ნაცნობობაში გადაიზარდა, მას შემდეგ, როცა მირცხულავას ქუჩაზე ერთ კორპუსში ცხოვრებამ მისი ვაჟი და მე ერთმანეთთან დაგვამეზობლა.

მაცხოვარი ბრძანებს – „კარგი ხე ნაყოფსაც კარგს იძლევა!"

თამაზ შანიძე – გულგაშლილი და ხელგაშლილი, კეთილი მრჩეველი და თანამდგომი, მეუღლესთან, სათნო ნელი ბალამწარაშვილთან ერთად ქართული ზნეკეთილობით გამორჩეულ ოჯახს უძღვებოდა.

წინა თაობების განვლილი ცხოვრების გზა ჩვენი დამაკვალიანებელი „სახელმძღვანელოა".

უკან თუ არ გაიხედები, წინ სასიკეთოს ვერაფერს დაინახავ.

წინაპრების ამაგის დამვიწყებელი, თავადაც დავიწყებული იქნება!..

„სუფთად ნაცხოვრები კაცი" უღიმილოდ თითქმის არ მინახავს, იმ ღიმილით, ბატონი ალიოს თვალებიდან სიკეთეს რომ ასხივებდა.

შვილთან არც თუ იშვიათად სტუმრობდა.

ფანჯრიდან ვხედავდი ხოლმე მშვიდი ნაბიჯით, იღლიაში ამოდებული, ეგრეთწოდებული, განუყრელი „პაპკით" რომ მოდიოდა.

თუ შემთხვევით შინაურები არ დაუხვდებოდნენ, ჩემთან შეისვენებდა...

კაცს, მითუმეტეს შემოქმედს, პირველ რიგში, თავისი დიდბუნებოვნება ამშვენებს, დიდსულოვანს და უშურველს, არ მახსოვს, ვინმეზე ღვარძლიანი სიტყვა დასცდენოდეს.

განსაკუთრებული მოწიწებით გალაკტიონს იხსენებდა – სიცოცხლეში ის პატივი ვერ მივაგეთ, რასაც ეს ღმერთკაცი იმსახურებდაო!..

განვლილი ცხოვრებაც ალბომია, თვალს რომ გადაავლებ, ვინ მოთვლის მისი ფურცლებიდან რამდენი „ტკბილი მეგობარი" შემოგანათებს, ვისი „ნახვაც გენატრება".

* * *

**„შენ ვარდები გიკრეფია"...**

დაჭკნენ ის ვარდები, მაგრამ არ „ჭკნება" სიმღერის სურნელი.

ამას წინათ ჩემმა უფროსმა მეგობარმა, მწერალმა გიზო ზარნაძემ გაიხსენა:

– რამდენჯერ ტელევიზიაში, ლიტერატურულ გადაცემაში მყავდა მიწვეული, მშვიდი, გულითადი, კეთილშობილი...

ბატონ ალიოს წელიწადი დააკლდა ორი რვიანი რომ დაეწყვილებინა.

ჩემი მცირე გახსენება „სუფთად ნაცხოვრები კაცისთვის" დანთებული არდავიწყების სანთელია.



**ვანო ჩხიკვაძე**

# „ფულს ორი ფერი აქვს"!

## ღია ბარათი დედაქალაქის მერს, ბატონ კახა კალაძეს

**გამარჯობათ, ბატონო კახა!**

მე, ვითარცა საუკუნეს მიღწეულ ჟურნალისტსა და მწერალს, ალბათ ხელმეწიფება ვთქვა, რომ თქვენი ბექგრაუნდი ნამდვილად იმსახურებს კახაბრობას: საქართველოში დაფრთიანებული, სახელგანთქმული ფეხბურთელი, ფაკეტისა და სანტოსის ბადალი, მარჯვე ბიზნესმენი, საზრიანი საჯარო მოსამსახურე და პოლიტიკოსი, როგორც მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი!

ყოველივე ამ სიკეთის ფონზე, 28 ივლისს ტევეპირველად წოდებულმა ტელეარხმა „სენსაციური ნიუსი" მოგვაწოდა: თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს, მაჯაზე 600 000-ლარიანი საათი უკეთია და საიდანო?!

კიდევ კარგი, არ წამოსცდა: ნუთუ, ხელფასიდანო?! იმიტომ, რომ საყოველთაოდ ცნობილია, ერთ თეთრსაც არ იღებთ ხელფასის სახით.

ნათქვამია, თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო! ანუ, რა გამოდის: გამჭვირვალე უნდა იყოს ბატონი მერის შემოსავალი და უცხოეთიდან შემოდენილი და ენჯეოებისგან ათვისებული ფული – არა?!

დრონი იცვალნენ: აქამდე დამკვიდრებული იყო გამოთქმა: „ფულს სუნი არა აქვს"! ახლა, ეტყობა, ასე სჯობს: „ფულს ორი ფერი აქვს"!

* * *

**ახლა** კი ერთი (მცირეყალიბიანი) თხოვნა:

ვცხოვრობ მთაწმინდაზე, ჩიტაძისა და ჭონქაძის ქუჩების გადაკვეთაზე. სოლოლაკიდან (ამაღლების ქუჩიდან) დაწყებული, კოტე მაყაშვილის ქუჩამდე, მთელ ამოდენა ტერიტორიას ემსახურება ერთადერთი ავტობუსი 383, რომელიც დადის უნივერსიტეტის ქუჩიდან და აქვს ძალიან შორი მანძილი მოძრაობის, ვერ იცავს თავის განკუთვნილ შუალედურ დროს, 20 წუთს, რაც იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ!



პატივისცემით,

**გიზო ზარნაძე**

(ტელ.: 599-53-82-74)

# ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორად ნუგზარ ანთელავა დაინიშნა

**სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნუგზარ ანთელავა დაინიშნა. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ულოცავს ბატონს ნუგზარს ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნას, წარმატებულ და ნაყოფიერ საქმიანობას უსურვებს.**

ნუგზარ ანთელავას განათლება მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ისტორიის ფაკულტეტი, ასპირანტურა – ეთნოლოგიის მიმართულება). ხოლო 2011 წლიდან იგი ამავე უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. იკვლევს ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნიკური ისტორიისა და კულტურის პრობლემებს; არის 110 ნაშრომის, მათ შორის 10 მონოგრაფიის ავტორი.



ნუგზარ ანთელავა 2012 წლიდან იყო ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის კოორდინატორი; სხვადასხვა დროს იყო გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ხალხური ყოფისა და კულტურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე; საქართველოს პრეზიდენტის რეგიონების მართვის სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის კოორდინატორი (1993-2001), აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე და სხვ.

# სოფელ მარანში კულტურის სახლის განახლების სამუშაოები სრულდება

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით სოფელ მარნის კულტურის სახლის საბოლოო ეტაპის სარესტავრაციო სამუშაოები არქიტექტორ-რესტავრატორებისა და კონსტრუქტორების ზედამხედველობით დასკვნით ეტაპზეა. ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**



მათივე ცნობით, სრულდება ფასადების რეაბილიტაცია და აქტიურად მიმდინარეობს შიდა სარემონტო სამუშაოები; მხატვრობის, დეკორატიული ორნამენტებისა და სხვა ღირებული ელემენტების საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები; პარალელურად კი – გრძელდება ნაგებობის ტექნიკური აღჭურვა და ტერიტორიის კეთილმოწყობა.

„სამუშაოების დასრულების შემდეგ იგი თანამედროვე სტანდარტის მულტიკულტურულ ცენტრად იქცევა და რეგიონის მასშტაბით არაერთ მნიშვნელოვან და საინტერესო კულტურულ პროექტს უმასპინძლებს.

სააგენტომ მარნის კულტურის სახლის სამივე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 4 755 611,67 ლარი გამოყო. სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული „იუკონი და კომპანია" ახორციელებს.

როგორც ცნობილია, სოფელ მარანში მდებარე უნიკალური კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია 2021 წლის სექტემბერში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თეა წულუკიანის აბაშის მუნიციპალიტეტში სტუმრობისას გადაწყდა. მინისტრმა ადგილობრივ მოსახლეობას აუწყა, რომ კულტურის სამინისტრომ გაიზიარა საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან მგალობლიშვილის, ინიციატივა და გადაწყდა სოფელ მარნის კულტურის სახლის აღდგენა. იმავე წლის დეკემბერში შემუშავდა მარნის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო პროექტი, რისთვისაც სამინისტრომ 133,331 ლარი გამოყო.

სოფელ მარნის კულტურის სახლი აგებულია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირთან. 1980-იან წლებში განხორციელებული კაპიტალური რემონტისა და გადაკეთების გამო ამჟამად XX საუკუნის დასაწყისის შენობის ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია კლუბი, მოზრდილი სცენით, რომელშიც თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა და კინოფილმების ჩვენებები ეწყობოდა; მის კედლებსა და ჭერში მუზები არიან გამოსახულნი.

აღსანიშნავია, რომ რესტავრაცია-რეაბილიტაციის შედეგად სრულად შენარჩუნდება და აღდგება შენობის ისტორიული იერსახე, შენობის ექსტერიერსა თუ ინტერიერში შემორჩენილი ყველა არქიტექტურული და მხატვრული ელემენტი.

შენობა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია რეგიონში და მას 2016 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ის იტალიელმა არქიტექტორებმა ააგეს...

# კურსკის ოპერაციის სამი დანიშნულება და დაბნეული პუტინი!..

## სამხედრო ფანდი, რომელიც ზელენსკიმ რუსებს მოუმზადა





**...ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ კურსკზე შეტევა კონკრეტული მიზნებისთვის მიდის. ეს შესაძლოა ტერიტორიების გასაცვლელად ხდებოდეს. უკრაინამ დაკავებული კურსკის ოლქი რუსეთს სხვა უკრაინის ტერიტორიაში გასაცვლელად შესთავაზოს. თუმცა სპეციალისტებს უჭირთ პროგნოზი, რამდენი ხნით აპირებენ უკრაინელები ამ ტერიტორიის დაკავებას და გაკონტროლებას. მათი თქმით, ამ ოპერაციას უკვე ძალიან ბევრი დადებითი მხარე აქვს.**

### რა ხდება კურსკში?

**კრემლი** კურსკის რეგიონში 430 კვადრატულ კილომეტრს ვეღარ აკონტროლებს. 50 რუსული დასახლების თავზე, უკრაინული დროშა ფრიალებს. მეექვსე დღეა კურსკის ოლქში შეტაკებები მიმდინარეობს, უკრაინულმა არმიამ ქალაქი სუჯა აიღო და მიმდინარე დასახლებების გავლით, რეგიონის მთავარი ქალაქის, კურსკის მიმართულებით მიიწევს, რომელთაც თან მიჰყავთ ტყვედ ჩავარდნილი ასობით რუსი სამხედრო. რეგიონში მდებარე უმსხვილესი ატომური ელექტროსადგურის აღებამდე საათებია დარჩენილი. ტერიტორიიდან თანამშრომლების ევაკუაცია სასწრაფო წესით მიმდინარეობს.

უკრაინის არმიის წინსვლის ფონზე რუსეთის რეგიონებში მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. განადგურებული სოფლებიდან მოსახლეობა ევაკუაციას საკუთარი ძალებით ცდილობს და მთავრობას უმოქმედობაში ადანაშაულებს.

ადგილობრივებს, რომლებსაც საცხოვრებელი გაუნადგურდათ, ხელისუფლება 10 000 რუბლით დაეხმარება.

მედიის მიერ მოპოვებული მასალებით გაირკვა, რომ უკრაინული არმია საკუთარ მოიერიშე ჯგუფებს საცეცხლე მხარდაჭერას „ჰაიმარსის" ტიპის ამერიკული საზენიტო სარაკეტო კომპლექსებით უზრუნველყოფს. **8 აგვისტოს რუსეთის სარდლობის მიერ მობილიზებული სარეზერვო ნაწილები ზუსტად ამ ტიპის იარაღით, რილსკის რეგიონში განხორციელებულმა იერიშმა გაანადგურა. რუსეთმა 500-მდე ჯარისკაცი და თოთხმეტი სამხედრო-სატვირთო მანქანა დაკარგა.**

განადგურებულია ლიპეცკის აეროდრომი, რომელიც უკრაინის საზღვრიდან 300 კილომეტრში მდებარეობს. შეტევა უპილოტო საფრენი აპარატით განხორციელდა. ავიაციასთან ერთად იარაღის საცავიც განადგურდა.

ბელგოროდის ოლქში „ნოვო ოსკოლში" დრონებით იერიშის შედეგად განადგურდა რუსული სამხედრო ტექნიკის ბაზა. ადგილს ერთდროულად 6 დრონი დაესხა თავს.

ახლა კურსკში სამხედროებისა და ტექნიკის სრული მობილიზება ბრიანსკიდან და ბელგოროდის ოლქებიდან ქაოსის ფონზე მიმდინარეობს. მოსკოვის ოლქის მოსაზღვრე ამ ორ რეგიონშიც საგანგებო ვითარებაა გამოცხადებული. უკრაინული იერიშების შედეგად, რეგიონებში ათობით სტრატეგიული ობიექტი განადგურდა.

### ოპერაციის კონკრეტული მიზნები

**საქართველოს** შეიარაღებული ძალების გენშტაბის ყოფილი უფროსი და გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე აცხადებს, რომ კურსკის ოპერაციის შედეგი ისაა, რომ რუსეთი, რომელიც ერთ კვირაში კიევის აღებას აპირებდა, ახლა ძალისხმევა აქვს მიმართული იმისკენ, რომ რუსეთ-უკრაინის საზღვრები აღადგინოს. გენერალი ამბობს, რომ ძნელია შედეგებზე წინასწარ საუბარი, თუმცა ფაქტი ისაა, რომ უკრაინამ სამ დღეში შეძლო ის, რასაც რუსეთი 5 თვეა ვერ აკეთებს.

„სწორად იქცევა უკრაინა, როცა საინფორმაციო დუმილს ინარჩუნებს. ძნელია საუბარი იმაზე, ამ ოპერაციის კონკრეტული მიზნები რა იქნება. ეს არის ან მოწინავე რაზმის მოქმედება ან კიდევ სარეიდო ოპერაცია. განსხვავება არის ის, რომ მოწინავე რაზმი როცა ტერიტორიას იკავებს, ის ელოდება მოწინააღმდეგე რაზმების შემოსვლას. სარეიდო რაზმის ამოცანა კი ისაა, რომ შევიდეს ტერიტორიაზე, კონკრეტული დავალება შეასრულოს და უკან გამოვიდეს. შესაძლოა, გარკვეული დროით ტერიტორიის შენარჩუნებას აპირებენ.

ფაქტია, რომ უკრაინამ რუსეთისთვის ოპერატიული სიურპრიზის შეთავაზება შეძლო. სამხედრო თვალსაზრისით, ეს ფანდია, რომელიც უკრაინამ გამოიყენა. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მიდიოდა უკრაინის მხრიდან საუბარი იმაზე, რომ აი, რუსეთიდან ფართომასშტაბიან თავდასხმას ველითო. ამის გამო მათ თავისი რეზერვის 5 ბრიგადა უნდა გადაესროლათ ამ მიმართულებაზე. აღმოჩნდა, რომ ეს ფანდი იყო და უკრაინელებმა ვითომ თავდაცვითი ოპერაციის მოსამზადებლად, მოახერხეს რეზერვების შექმნა და დარტყმითი დაჯგუფება გადაამზადა. ჯერჯერობით, არ ჩანს, რომ რუსები სხვა ადგილებიდან ძალების მოხსნასაც ვერ ახერხებენ"...

...ირონიულია, როდესაც რუსები იძულებულები არიან საკუთარი ტერიტორია დაბომბონ. გენერალი ამბობს, რომ ჯარის ასე სწრაფად სხვა ფრონტის ხაზიდან მოხსნა რთულია. თუმცა დონეცკის მიმართულებიდან დანაყოფის მოხსნა გარდაუვალი იქნება.

* * *

**დიპლომატი** ვალერი ჩეჩელაშვილი აცხადებს, რომ კურსკზე დაწყებული შეტევა ომის საერთოდ ახალი ფაზაა. მისი თქმით, საომარი მოქმედებები რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდა და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე შეტევა მეორე მსოფლიო ომის მერე აღარ გვიხილავს. ჩეჩელაშვილი ამბობს, რომ შეტევა, რომელიც ახლა უკრაინამ განახორციელა, ეს, პრაქტიკულად, უპრეცედენტო სამხედრო ოპერაციაა.

„ამ ოპერაციას სამი განზომილება აქვს, ეს არის პოლიტიკური, სამხედრო და მორალურ-ფსიქოლოგიური!.. ამ სამივე კომპონენტს თავისი საგარეო და საშინაო მიზნები აქვს. დავიწყოთ სამხედრო თვალსაზრისით, ეს ძალიან წარმატებული ოპერაციაა. უკრაინული ოფიციალური წყაროები ამაზე საერთოდ არ საუბრობენ. რა ინფორმაციაც გვაქვს, ეს არის რუსებისგან, რომელიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ზოგი ამბობს, რომ ეს არის დივერსიული ოპერაციული, ზოგი ამბობს, რომ სამხედრო ოპერაცია.

**ამ ოპერაციით მსოფლიომ დაინახა, რომ რუსეთის ტერიტორია დაცული არ არის. რუსეთმა თავდაცვითი სამუშაოები თითქოს ჩაატარა, რაშიც 150 მილიონი დოლარი დახარჯა. ვფიქრობ, რომ დასაჭერი ეყოლებათ ეს ხალხი, ვინც ვითომ თავდაცვითი ზღუდეები ააგეს. პუტინმა გამოიჩინა სისუსტე და ვნახეთ ამ ოპერაციის შედეგად ის როგორი დაბნეულია. ვერ გამოიყურება იმ გონორზე, როგორზეც არის ხოლმე ბირთვული სახელმწიფოს ლიდერი. რაც შეეხება მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორს, უკრაინაში ამ შეტევის შემდეგ მოსახლეობის განწყობა ამაღლდა", – ამბობს ჩეჩელაშვილი.**

– ახლა კურსკში უკრაინის ძალიან სერიოზულად აღჭურვილი, გაწვრთნილი და საკმაოდ ელიტარული ნაწილი მოქმედებს. ამიტომ არის, რომ რეგულარული საჯარისო ფორმირებები მათ წინააღმდეგ ვერაფერს ვერ გახდნენ. უკრაინელები რუსების ტერიტორიაზე უკვე 35-კილომეტრამდე სიღრმეში შევიდნენ. მათი ასეთი სწრაფი წინსვლა ცხადყოფს, რომ საკმაოდ პროფესიონალი დაჯგუფება მოქმედებს. ასევე, არ არის გამორიცხული, კონკრეტული ვაჭრობაც წავიდეს მოლაპარაკების წინ. ეს იქნება საკმაოდ კარგი ბერკეტი, რომ პუტინს რაღაცა დაათმობინონ, – ასკვნის ვალერი ჩეჩელაშვილი.

მოამზადა

**ლიკა ბერიკაშვილმა**

# დონალდ ტრამპი: ფიცის დადებამდე რუსეთ-უკრაინის ომს დავასრულებ!

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი, დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ფიცის დადებამდე დაასრულებს ომს უკრაინაში, – ამის შესახებ ტრამპმა Breitbart News-თან ინტერვიუში განაცხადა.**

ამასთან, როგორც მან აღნიშნა, იცნობს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს და უკრაინის პრეზიდენტს ვოლოდიმირ ზელენსკის. ამიტომ თვლის, რომ მას შეუძლია წარმატებით გამართოს მოლაპარაკება სამშვიდობო საკითხებზე.

„ორივე ლიდერთან ყოველთვის ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და ვფიქრობ, რომ ძალიან კარგ მდგომარეობაში ვარ, რომ დავამყარო სამშვიდობო შეთანხმება ორ ქვეყანას შორის", – განაცხადა მან.

ტრამპმა ასევე აღნიშნა, რომ მისი დემოკრატი ოპონენტი კამალა ჰარისი გააგრძელებს ომს, არაფერს გააკეთებს სიტუაციის გამოსასწორებლად და მისი უმოქმედობის გამო მილიონობით ადამიანი დაიღუპება.

„არა მგონია, რომ მას რაიმე წარმოდგენა ჰქონდეს, რა გააკეთოს. მისმა უუნარობამ შეიძლება, მსოფლიო გლობალურ ომში ჩართოს", – განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის ექსპრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ სწორედ ის დაამთავრებს რუსეთ-უკრაინის ომს, 5 ნოემბრის არჩევნებიდან 2025 წლის 20 იანვრის ინაუგურაციამდე.



# ზელენსკი: რუსეთის იერიში კონსტანტინოვკაზე მიზანმიმართული ტერორია, რისთვისაც ოკუპანტი პასუხს აგებს!

**ბოლო დარტყმა, რომელიც რუსეთმა დონეცკის ოლქის ქალაქ კონსტანტინოვკაზე განახორციელა, იყო მიზანმიმართული სამხედრო დანაშაული, რისთვისაც დამპყრობლები პასუხს აგებენ, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საზოგადოებისადმი ვიდეომიმართვის დროს განაცხადა.**



„დონეცკის ოლქში, კონსტანტინოვკაში, სუპერმარკეტზე რუსეთის პირდაპირი დარტყმის შემდეგ, სამაშველო ოპერაცია ჯერ კიდევ მიმდინარეობს. დაზიანდა ათობით სხვადასხვა შენობა: ფოსტა, მაღაზიები და სახლები. ამ დროისთვის ჩვენ ვიცით 40-ზე მეტი დაშავებულის შესახებ – ყველა მათგანი საჭირო დახმარებას იღებს. სამწუხაროდ, 14 ადამიანი დაიღუპა. ვუსამძიმრებ მათ ოჯახებს და ახლობლებს.

# განცხადება

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში 2024 წლის 12 აგვისტოდან გამოცხადდეს ღია კონკურსი სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

**1.1 ნეიროფიზიოლოგიის ლაბორატორია** - მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“)

**1.2 ნეიროენდოკრინოლოგიის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ა“)

**1.3 მემბრანოლოგიის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“)

**1.4 ბიოქიმიის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ბ“) მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ბ“)

**1.5 ბიოქიმიური ნეიროფარმაკოლოგიის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“)

**1.6 თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის და მეტაბოლიზმის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (4 ერთეული კატეგორია „ა“)

**1.7 ნეიროტოქსიკოლოგიის ლაბორატორია** – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია “ა”), მეცნიერი თანამშრომელი (4 ერთეული კატეგორია “ა”)

**1.8 გამოყენებითი რადიაციული კვლევების ლაბორატორია** - მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“)

**1.9 რადიობიოლოგიის ლაბორატორია** - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ა“)

**1.10 ბიოფიზიკის ლაბორატორია** - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (4 ერთეული კატეგორია „ა“), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“), მეცნიერ თანამშრომელი (4 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“)

**1.11 ქცევისა და კოგნიტური ფუნქციათა ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ა“) მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“)

**1.12 ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიის ლაბორატორია** - მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ბ“)

**1.13 ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული „ა“ კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“), მეცნიერ თანამშრომელი (4 ერთეული კატეგორია „ა“)

**1.14 გენომის სტრუქტურის და ფუნქციის ლაბორატორია** - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ა“), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ბ“), მეცნიერ თანამშრომელი (4 ერთეული კატეგორია „ა“ ), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“),

**1.15 რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“)

**1.16 მხედველობის ფიზიოლოგიის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ა“), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ბ“)

**1.17 ბიოინფორმატიკის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“)

**1.18 ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“)

**1.19 ტკივილისა და ანალგეზიის ლაბორატორია** – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული კატეგორია „ა“), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“)

**1.20 თავის ტვინის ულტრა და ნანო არქიტექტონიკის ლაბორატორია** - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ა“)

**1.21 რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ ანალიტიკური სერვისების ლაბორატორია** - მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული კატეგორია „ბ“)

2. **მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

3. **უფროსი მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

4. **მთავარი მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

5.1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ - სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის (ლაბორატორია), დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;

5.2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

5.3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;

5.4. დიპლომების ასლები;

5.5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი

ა) სტატიების სრული სია;

ბ) თეზისების სრული სია;

5.6. საუკეთესო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში განმცხადებლის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

6. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

7. კონკურსის ჩატარების თარიღია 2024 წლის 24-25 სექტემბერი.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2024 წლის 12 სექტემბრიდან 2024 წლის 18 სექტემბრის 18: 00 საათამდე.

8.1. არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;

9. კონკურსანტების განცხადებების რეგისტრაციისა და საბუთების მისაღებად შეიქმნას სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

9.1 მარიამ ირემაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

9.2 მარიკა კალანდაძე - საქმისმწარმოებელი;

10. ინფორმაცია კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობითა და ცენტრის წესდებით გათვალისწინებული წესით.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **შპს „მწვანე ენერგიის ჯგუფის“ მიერ ლენტეხის მუნიციპალიტეტში მდ. მუხრაზე მცირე სიმძლავრის (4,64 მგვტ) ჰესის (მუხრა ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 23 აგვისტო, 13:00 საათი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ტვიბის საჯარო სკოლის შენობა.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 1 აგვისტო.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“ მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაშმის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა და ექსპლუატაცია**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წელის 27 აგვისტო, 13:00 საათი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ხაშმის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 1 აგვისტო.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

## ◎ პარიზი — 2024

# ხუთი რგოლის რაინდები



**ჩვენ დიდი ერი ვართ!**
**ჩვენ სპორტული ერი ვართ!**
**ჩვენ პიერ დე კუბერტენის ოლიმპიური იდეალების ერთგული ერი ვართ!**
**ჩვენ მებრძოლი ერი ვართ!**

რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ პირდაპირ ტელეჩართვაში კითხვაზე – შევძლებთ თუ არა პარიზში ტოკიოს წინა თამაშებზე ნაჩვენები შედეგის გაუმჯობესებასო – სეოკ-ის პრეზიდენტმა, თავადაც ტიტულოვანმა ათლეტმა და ღირსებით გამორჩეულმა პიროვნებამ ლერი ხაბელოვმა ჟურნალისტს უპასუხა: ნაწილობრივო.

სიტყვის კაცია და იმიტომ. დიახ, მართალია ამჯერად ჯვაროსნებმა მაშინდელი 8-ის ნაცვლად 7 მედალი მოიხვეჭეს, მაგრამ სამაგიეროდ ოქროების რაოდენობით ფორუმების ისტორიაში, 2008 წლის შემდეგ, საუკეთესო მონაგრით ისახელეს თავი, რაც, როგორც მოგეხსენებათ, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ადგილების განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორი გახლავთ.

**გენო პეტრიაშვილი.** რიოს გრინჯაოს მფლობელმა 3 სეზონის განმავლობაში ვაჟკაცურად ატარა ტოკიოს ვერცხლით გულში გაჩენილი ადამიანის დამანგრეველი ფსიქოლოგიური იარა, მაგრამ საფრანგეთის დედაქალაქში გორელი ფალავანი ყველაფერზე ამაღლდა და საკუთარი ჯილდოების უმდიდრეს კოლექციას ნანატრი გვირგვინი დაადგა.

ტრიუმფს მოწყურებულმა ჩვენმა გოლიათმა მიზნისკენ მიმავალ გზაზე უპრობლემოდ დასცა უკრაინელი ხოციანოვსკი – 9:0, პოლონელი ბარანი 11:2 და აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე ონელი თანამემამულე, მომავალი მესამე პრიზიორი გიორგი მეშვილდიშვილი, ფინალში კი სახელმძღვანელოებში შესატანი ომი მოუგო რეიტინგის ირანელ ლიდერს ზარეს – 10:9 და აღნიშნული ოქრო შინდისის გმირებს მიუძღვნა.

პირველი ქულის გაშვებას გენომ ილეთების კასკადით უპასუხა და უკვე შესვენების წინ მილოცვებსაც იღებდა, რადგან ტაბლოზე მისი აშკარა უპირატესობის აღმნიშვნელი 12:1 აციმციმდა. თითქოს უდიდეს წარმატებას აღარაფერი ედგა, მაგრამ მეტოქის შტაბი ხავსს მოეჭიდა, ჩელენჯი მოითხოვა და ზეიმი გადაგვიდო – აღმოჩნდა, რომ ბოლო გდება პეტრიაშვილმა სარბიელის მიღმიდან შეასრულა და მსაჯებმა 2 ქულა გაგვიუქმეს.

შერკინების განახლებამ ძალაუნებურად ზემოთნახსენები იაპონური დრამა გაგვახსენა, ვინაიდან გენოს გაუჭირდა შექმნილ ვითარებასთან შეგუება და ზარემ ნახევარი წუთით ადრე თითქმის შეუძლებელი შეძლო – 9:10. საბედნიეროდ, მეტის საშუალება მას პეტრიაშვილმა აღარ მისცა, ემოციები მოთოკა და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც შეაბიჯა. ვულოცავთ! იგი შეუერთდა ნინო სალუქვაძისა და ლაშა შავდათუაშვილის თანავარსკვლავედს, ვის ოლიმპიურ კოლექციასაც სამივე სინჯის მედალი ამშვენებს.



გუშინ გივი მაჭარაშვილმა ვერცხლის წერტილი დასვა.

**ლაშა ტალახაძე.** საჩხერელმა დევგმირმა პარიზიც დახურა, ოღონდ ნუ დაგვავიწყდება, რომ მის მესამე აღმაფრენას მაინც სხვა ფასი ადევს. დიახ, დომინაციის შენარჩუნება და კარიერული წინსვლა თანდათან ისე რთულდება, რომ სასახელო ბიოგრაფიაში პირველად, ლაშამ ატაცში ერთ-ერთ ცდაზე წონა ვერ დაძლია და გამარჯვება დათმო. აბა, დაჭრილ მხეცს წინ ვინ დაუდგებოდა, რომელმაც აკვრაში ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, ორჭიდში 470 კილოგრამს მოუყარა თავი და, როგორც სჩვევია, სახელმწიფო ჰიმნის ჰანგების თანხლებით პლანეტას საპატიო კვარცხლბეკიდან გადმოხედა.

მადლობა და დიდება ლეგენდას!

სხვათა შორის, პირველი მოძრაობის ერთ-ერთი ცდის შეფასებისას იყო ეპიზოდი, როცა მსაჯთა კოლეგიამ რაღაცის გამოჩხრეკვა დაიწყო, მაგრამ, სანდრო ბაზაძისგან განსხვავებით, ლაშას ვერაფერი დააკლო.

## ◎ პირველი ქართველი



# ელგუჯა ბერიშვილს კუბერტენის მედალი გადაეცა

**პარიზში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) ოფისში პიერ დე კუბერტენის მედლით დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი. მას ეს მნიშვნელოვანი ჯილდო გადასცა IOC-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, სპორტის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდენტმა ჯონ კოუტსმა.**

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ IOC-ის წევრები, საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის სხვა მაღალჩინოსნები, სეოკ-ის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი** და გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი.**

ჯონ კოუტსმა ხაზი გაუსვა ოლიმპიზმის პოპულარიზაციის მნიშვნელობას და ამ საქმეში ელგუჯა ბერიშვილის მიერ შეტანილ გამორჩეულ წვლილს. მან მადლობა გადაუხადა ნომინანტს ოლიმპიურ მოძრაობაში მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის და ახალი წარმატებები უსურვა. კოუტსმა გამოარჩია ელგუჯა ბერიშვილის ნაყოფიერი საქმიანობა ოლიმპიური ფასეულობების პოპულარიზაციისთვის, ასევე სეოკ-ის ერთ-ერთ ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში. მან ნომინანტს გადასცა IOC-ის პრეზიდენტის, **თომას ბახის** გულთბილი მილოცვა მედლით დაჯილდოებასთან დაკავშირებით.

თავის სამადლობელ სიტყვაში ელგუჯა ბერიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივია თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებლის, ბარონ პიერ დე კუბერტენის მედლის მიღება:

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) აღმასრულებელმა საბჭომ პიერ დე კუბერტენის მედლით ელგუჯა ბერიშვილის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილება შარშან მიიღო.

ფრანგი ბარონის, პიერ დე კუბერტენის სახელობის მედალი IOC-მა 1997 წელს დააწესა. ეს არის განსაკუთრებული სპეციალური ჯილდო, რომლითაც აღინიშნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანების მიერ ოლიმპიური მოძრაობისა და ოლიმპიური სულისკვეთების პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი.

დღემდე ეს მედალი ასამდე ლაურეატს გადაეცა, მათ შორის – ხუან ანტონიო სამარანჩს (IOC-ის ყოფილი პრეზიდენტი), ემანუელ ზატოპეკს (მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნობაში), ჰენრი კისინჯერს (აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი), რენიე III გრიმალდის (მონაკოს ყოფილი მმართველი პრინცი), კურტ ფულგერს (შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი), ჯოვანი ანელის (ფიატის ყოფილი პრეზიდენტი), ჟოაო აველანჟს (ფიფა-ს ყოფილი პრეზიდენტი) და სხვებს.

ელგუჯა ბერიშვილი ქართველთაგან პირველია, ვისაც პიერ დე კუბერტენის მედალი მიენიჭა.

## ◎ კოლეგა

# უკიდეგანო პროფესიონალი

**ალალად გეტყვით – წარმოდგენა არა მაქვს, როდის გაიჭრა ჩვენი ურთიერთობის ლენტი, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ როგორც კი ერთმანეთს გავუგეთ, მას შემდეგ, სადაც არ უნდა ვიყოთ – სამშობლოში თუ მის საზღვრებს მიღმა, ვცდილობთ თითოეული დღე ზეიმად ვაქციოთ.**

ასეთ განზრახვაში ცუდი არაფერია, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ყველა როდია საამისოდ მოწოდებული. **გია ტუხაშვილი** იმითაა გამორჩეული, რომ მის ირგვლივ ყველგან და მუდამ დადებითი აურაა შექმნილი, ეს კი გამორიცხულია გადამდები არ აღმოჩნდეს გვერდით მყოფთათვის.

და აი, მივადექით საკვანძო საკითხს – ძვირფასი კოლეგა და უკიდეგანო პროფესიონალიზმი. აი, აქ კი უკვე შეუძლებელია თემას პრაგმატულად მივუდგეთ და ანზორიჩს ეპითეტები დავაკლოთ. დიახ, იგი ჩვენთვის ყველაფერია – გაჭირვების ტალკვესი, ცნობარი, ენციკლოპედია, წიგნი, ოქმი, დაწყებითი თუ უმაღლესი განათლება...

მოგეხსენებათ, ცალმხრივი მოძრაობა მხოლოდ ერთი შეხედვით გახლავთ უსაფრთხო. ასევეა ტუხას პიროვნულ შემთხვევაშიც – რამდენადაც დაჯილდოებულია თან გადაყოლის უნარით, იმდენად მოითხოვს სამართლიან დამოკიდებულებას, რაშიც უკვე ჭარმაგი მაღალჩინოსნებიც დამეთანხმებიან.

თან, არ დაგავიწყდეთ – საუბარია ერთ-ერთ ყველაზე სათუთ-საფეხბურთო საზოგადოებაზე, სადაც განსაკუთრებულია თითოეული აწონილი სიტყვის ფასი, ქვემო ქართლის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტის უმთავრეს ღირსებას კი სწორედ ის წარმოადგენს, რომ უპირველესად საკუთარი სინდისისა და მრწამსის წინაშეა პირნათელი.

არც იმას დავმალავ, რომ ზედმეტ დაწვრილმანებად მიმაჩნია, მკითხველს შევახსენო, ხანგრძლივი ჟურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში რამდენი ინტერვიუს, ჩანახატისა თუ რეპორტაჟის ავტორია უკვე 60 წლის გია ტუხაშვილი.

იუბილეს გილოცავ, ძმაო!

**გია პლატონიშვილი**

უპატრონო ქიზიყმა
გვიფეშქაშა ტუხა,
მუმლსაც ჯოკერს ასწავლის
დამაშვრალი მუხა.
გაგვიზარდა რუსთავმა,
მეგობრობის გამზირმა,
ცხოველებსაც გაუძლო
(გ)ამტანობით გმირმა.
სუფრასთან არ იკითხავთ
როგორ ღირსეულია?
მისი მცირე შენიშვნაც
ნაღდი, მტკივნეულია.
ფეხბურთში თმაშევერცხლილი
კვლავ ანცვიფრებს ათასებს,
მართკუთხა მკლავ-მარჯვენით
რამდენ ფურცელს გაავსებს?





# სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

## ჯანდაცვის სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი ჯანდაცვის მინისტრმა მიხეილ სარჯველაძემ და უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ მოაწერეს.**

დოკუმენტში მხარეთა თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებებია განსაზღვრული. მემორანდუმი მიზნად ისახავს, საქართველოში სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნული თანამშრომლობა შექმნის მეცნიერულად დასაბუთებულ, მყარ საფუძველს საქართველოს სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების, ოჯახის სტაბილურობის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისთვის.

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების ანალიზის მიზნით, უნივერსიტეტი, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უზრუნველყოფს სამეცნიერო პოტენციალს, მათ შორის სტუდენტთა და დოქტორანტთა მონაწილეობას ერთობლივ სამეცნიერო კვლევებსა და პროგრამებში. ასევე, ხელს შეუწყობს შეხვედრებს, საჯარო გამოსვლებსა და ლექციებს.

ღონისძიებას ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და აკადემიური პერსონალი ესწრებოდნენ

# გაიძვერა „ჯავა კონსტრაქშენი“ დაისაჯა

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გერგეტის სამების საეკლესიო კომპლექსის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან, შპს „ჯავა კონსტრაქშენთან“, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა შემსრულებელი კომპანიის მხრიდან არსებული მნიშვნელოვანი დარღვევების გამო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**



მათივე ცნობით, სააგენტომ შემსრულებელ კომპანიას პირგასამტეხლოს გადახდაც დააკისრა.

აღნიშნულის მიუხედავად, პროექტით განსაზღვრული ერთ-ერთი ძირითადი სამუშაო – ტაძარზე სახურავის მოწყობა, რომელიც შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით 2024 წლის 25 აპრილს უნდა დაწყებულიყო, ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე (2024 წლის 2 აგვისტო) არ დაწყებულა და არ მომხდარა სახურავის მოწყობის სამუშაოთა წარმართვისათვის საჭირო მასალების ადგილზე მობილიზება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მიმდინარე წლის 2 აგვისტოს სააგენტომ ცალმხრივად შეწყვიტა შპს „ჯავა კონსტრაქშენთან“ 2024 წლის 27 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება და შემსრულებელ კომპანიას 73 680 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა დააკისრა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შპს „ჯავა კონსტრაქშენს“ შორის 614 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება 2024 წლის 27 თებერვალს გაფორმდა. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი ტენდერი გერგეტის სამების რეაბილიტაციისთვის უახლოეს დღეებში გამოცხადდება.

# მწვერვალ შხელდაზე მყოფი 3 მთამსვლელი მესტიაში გადმოიყვანეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე მაშველებმა სვანეთში, მწვერვალ შხელდაზე მყოფი სამი მთამსვლელი უვნებლად, სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის დახმარებით მესტიაში გადმოიყვანეს.**

უწყების ცნობით, მწვერვალზე მყოფი კიდევ ერთი პირი, სავარაუდოდ, მეხის დაცემის შედეგად გარდაიცვალა. ცხედრის სამძებრო სამუშაოები ამ დრომდე მიმდინარეობს.

# პოლიციამ გურიაში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული დ.ტ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

შსს-ს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 8 აგვისტოს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 1958 წელს დაბადებულ თ.ს.- ს ფიზიკური დაზიანება მიაყენა. მიყენებული დაზიანების შედეგად თ.ს. ადგილზე გარდაიცვალა.

უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# დედაქალაქში მუდმივი სატრანსპორტო კოლაფსია!...

## „გვინდა თუ არა, უნდა გაკეთდეს ახალი ხიდები და ესტაკადები“



**დედაქალაქის მასშტაბით, არაერთი სატრანსპორტო კვანძია, სადაც გადაადგილება საცობების გამო ჭირს. მაგალითად, ასეთია გმირთა მოედანი, სააკაძის მოედანი, ლაგუნა ვერეს, დიდი დიღმის და ახმეტელის მეტროს მიმდებარე ტერიტორიები, ჭავჭავაძის გამზირი, წერეთელი, თბილისის შესასვლელი და სხვა, რომელიც ე.წ. ცხელ ადგილებად ითვლება.**

სპეციალისტები რამდენიმე მიზეზს ასახელებენ, რაც პიკის საათებში და სხვა დროსაც სატრანსპორტო კოლაფსს ქმნის. ესენია:

**ქაოსური განაშენიანება;**

**ავტომობილების დიდი რაოდენობა;**

**მზარდი მოსახლეობა;**

**ინფრასტრუქტურა, რომელიც არა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, არამედ ავტომობილზეა მორგებული;**

**სატრანსპორტო რეფორმის ნელი ტემპი;**

**ნაკადების სამართავი ჭკვიანი სისტემის არარსებობა;**

**არათანმიმდევრული ურბანული პოლიტიკა;**

საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელი, დავით მესხიშვილი გამოსავალს მობილობის შემცირებაში ხედავს, რაც დეცენტრალიზაციით მიიღწევა. ფიქრობს, რომ საკითხი უკვე გასცდა დედაქალაქის მერიის კომპეტენციას და საქართველოს მთავრობის დონეზე გადაინაცვლა.

„დღეს სახელმწიფო დაწესებულებები დედაქალაქის ცენტრშია თავმოყრილი, ეს დაწესებულებები დაუყოვნებლივ გასატანია ქალაქის ცენტრიდან. ცენტრში ძირითადად საფეხმავლო გზები, ველობილიკები, მოპედებისთვის ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს. ქალაქს განმუხტავს დეცენტრალიზაცია“, - განაცხადა მესხიშვილმა.

იმისათვის, რომ სატრანსპორტო კოლაფსი არ შეიქმნას, საჭიროა ქალაქის სიგანეში გაფართოება და შუქნიშნების სწორი მონტაჟი, რაც გზის გამტარუნარიანობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. სატრანსპორტო პოლიტიკის ექსპერტის მევლუდ მელაძის აზრით, რა პრინციპითაც ქალაქდაგეგმარება ხდება, ამისთვის თბილისი მზად არ აღმოჩნდა. შესაბამისად, ამან გამოიწვია ის საგზაო კოლაფსი, რაც დღესდღეობითაა.

„ახლა ლაგუნა ვერეს ტერიტორიაზე გზების გაფართოება გადაწყდა, მაგრამ პრობლემას ეს ვერ მოაგვარებს. როგორც ვიცით, გზის გაფართოება ამ მონაკვეთზე მრავალსართულიანი შენობის აშენების გამო იგეგმება. ქალაქის მოწყობა მისასალმებელია, მაგრამ უნდა მოხდეს ისე, რომ გაფართოება-გაშლა მოხდეს ტერიტორიის გაშლით და არა მაღალი შენობების ჩადგმა. ქალაქის სიმაღლეში ზრდა ამ მხრივ დიდ პრობლემას შექმნის. გამოდის, რომ საცობები ისევ იჩენს თავს და ეს გაფართოება საკმარისი არ იქნება.

ჩვენს საგზაო მონაკვეთებზე კატასტროფა ხდება, ამიტომ ეს წერტილები, მაკავშირებლები, ასე თუ ისე, ცნობილია... ყველაზე ცენტრალური და მასიურია გმირთა მოედანი, გამსახურდიას გამზირი, გლდანი (მინდელის ხიდზე რომ გადავდივართ და გლდანში ავდივართ, მთელი გზა სულ საცობია), ვარკეთილი, ავლაბარი, ვერა და ვაკე (ბაგებიდან მომავალი გზაც). ყველა ამ ჩამოთვლილ უბანში, როგორც მინიმუმ, მისვლა გართულებულია.

არის ადგილები, სადაც გვინდა თუ არა, უნდა მოხდეს ხიდების და ესტაკადების მოწყობა. ამისთვის შესაბამისი ადგილი დიდი სიფრთხილით უნდა შეირჩეს. რთულია, ოპტიმალური გამოსავალი მოიძებნოს. ყველაზე სწორი იქნება, ქალაქი არ გაიზარდოს სიმაღლეში, არამედ სიგანეში. აქცენტი გადატანილ იქნას ერთ კონკრეტულ ლოკაციაზე, ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ მაღალსართულიანი შენობები ვაშენოთ“, – განაცხადა მელაძემ.

სატრანსპორტო რეფორმა რომ ხანგრძლივი, ძვირი და შრომატევადი საქმეა, ყველა თანხმდება, პრობლემა რეფორმის ნელი ტემპი და ის სამშენებლო გადაწყვეტილებებია, რომელიც ურბანულ და სატრანსპორტო პოლიტიკას საფუძველს აცლის. მოსახლეობა კი საცობში ცხოვრებას ეჩვევა.

თუ დავუშვებთ, რომ დღეში საცობში მინიმუმ ორ საათს ვკარგავთ, გამოვა, რომ თვეში ეს დრო 56 საათია, წელიწადში 672 საათი ანუ 28 დაკარგული დღე!

**ბექა დანელია**





# ნანი ბრეგვაძემ საოჯახო „განძი" ეროვნულ არქივს გადასცა



**მომღერალმა ნანი ბრეგვაძემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს მის საოჯახო არქივში დაცული აუდიო, ფოტო და წერილობითი მასალა გადასცა.**

დოკუმენტებს შორის არის მაგნიტურ ფირებზე, გრამფირფიტებსა და აუდიოკასეტებზე ჩაწერილი რომანსები და საესტრადო სიმღერები ნანი ბრეგვაძის, ვახტანგ კიკაბიძის, გოგი დოლიძის, ეკა მამალაძის, ასევე ანსამბლების – „ორერასა" და „მელოდიას" – შესრულებით. აქვეა ნანი ბრეგვაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი 400-მდე ფოტო, საკონცერტო აფიშები და პროგრამები, წერილები და სხვა დოკუმენტები.

საქართველოს ეროვნული არქივის მდიდარი აუდიო და ფოტოკოლექციებისათვის ნანი ბრეგვაძის საოჯახო არქივი მნიშვნელოვანი შენაძენია. საარქივო წესით დამუშავების შემდეგ დოკუმენტები დაინტერესებული პირებისთვის ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზების მეშვეობით იქნება ხელმისაწვდომი.

# ნინო ლორთქიფანიძის გამოფენა ეროვნულ გალერეაში

**დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეა სიურრეალისტი მხატვრის, ნინო ლორთქიფანიძის, მასშტაბურ რეტროსპექტულ გამოფენას უმასპინძლებს, რომელიც მისი შემოქმედების თითქმის ყველა ეტაპს მოიცავს. გამოფენა 15 აგვისტოს, 18:00 საათზე, გაიხსნება.**



ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, ნინო ლორთქიფანიძის ამ მასშტაბის რეტროსპექტული გამოფენა საქართველოში პირველად გაიმართება.

ნინო ლორთქიფანიძემ თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა. მისი პედაგოგები იყვნენ: არქიტექტორები – არჩილ ქურდიანი, ივანე ჩხენკელი, ტონი კალანდარიშვილი; მხატვრები – სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე, ვასილ შუხაევი. მან სწავლა გააგრძელა პრაღის ტექნიკურ უნივერსიტეტში (1969), შემდეგ კი – ჰელსინკის სახვითი ხელოვნების აკადემიაში, სადაც ფინელი სიურეალისტი მხატვრის, იუჰანი ლინოვაარას, მოწაფე იყო. 1972-1976 – მუშაობდა მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტ „გიპროთეატრში". 1980-90 წლებში სტროგანოვის ხელოვნებისა და ინდუსტრიის უნივერსიტეტის (მოსკოვი) აკადემიური ფერწერის პედაგოგი და პროფესორი იყო.

კულტურის სამინისტროს კონკურსის „კულტურის სექტორში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა" ფარგლებში 2023 წელს ნინო ლორთქიფანიძის შემოქმედების ამსახველი კატალოგი გამოიცა.

გამოფენა 2024 წლის 30 აგვისტომდე გასტანს.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.6967; ევრო - 2.9451;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4388;**
**100 რუბლი - 3.0474; თურქული ლირა - 0.0803;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5856;**
**1000 სომხური დრამი - 6.9479.**

**ძვირფასო მკითხველო!**
**გთავაზობთ ტენდერების, აუქციონების, ვაკანსიების, ყოველგვარი რეკლამის, საიუბილეო და სამგლოვიარო განცხადებების განთავსებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში"**
**განცხადების ტექსტი შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**sak@sak.ge rkobulia29@gmail.com**
**ან მობრძანდით რედაქციაში: თბილისი, აკ. წერეთლის 116, „დიდუბე პლაზას" შენობა, IV სართ. ოფისი №448, ტელ; 577-772717, 599360035**

# 18 წლის ახალგაზრდა, რომელსაც 2 დღე ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში ჩამომხრჩვალი ახალგაზრდა კაცი იპოვეს.**

ხეზე ჩამოკიდებულ 18 წლის ახალგაზრდას თანასოფლელებმა ორდღიანი ძებნის შემდეგ მიაკვლიეს.

ახლობლების ინფორმაციით, მამაკაცი სახლიდან საღამოს გავიდა, სოფლის მარკეტში პროდუქტი შეიძინა, რის შემდეგაც მისი კვალი დაიკარგა. მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე ამ დრომდე დგას საზამთროთი დატვირთული სატვირთო ავტომობილი, რომელიც გარდაცვლილს ეკუთვნის.

სოფელში ამბობენ, რომ ბიჭი ხილის ბიზნესით იყო დაკავებული და კონფლიქტი არავისთან ჰქონია.

პოლიცია და საგამოძიებო სამსახური მომხდარის დეტალებს სწავლობს.

# გინდ – დაიჯერეთ, გინდ – არა!

## პლანეტა მერკურზე შესაძლოა, ბრილიანტის 18-კილომეტრიანი მიწისქვეშა ფენა არსებობდეს!

**მეცნიერების კვლევის მიხედვით, პლანეტა მერკურიზე შესაძლოა ბრილიანტის 18-კილომეტრიანი სისქის ფენა არსებობდეს, – ამის შესახებ ინფორმაციას CNN ავრცელებს.**



პლანეტა მერკური მზის სისტემის ყველაზე პატარა და მზესთან ყველაზე ახლო მყოფი პლანეტაა.

ჩინელი მკვლევრების აზრით, ბრილიანტის ფენა, სავარაუდოდ, მერკურის პლანეტის ჩამოყალიბების შემდეგ მალევე შეიქმნა, დაახლოებით 4.5 მილიარდი წლის წინ. ფენის ჩამოყალიბება სავარაუდოდ მტვრის, აირების, მაღალი წნევისა და ტემპერატურის ერთობლიობის შედეგია.

მეცნიერებმა, სპეციალური მანქანის მეშვეობით სხვადასხვა ნივთიერება შეაერთეს და ისეთი გარემო პირობებში შეუქმნეს, როგორიც პლანეტა მერკურიზეა აღმოჩენილი. მოგვიანებით, ნაერთებზე დაკვირვებისა და გარკვეული ტესტების ჩატარების შემდეგ კი აღმოაჩინეს, რომ ნაერთმა ქიმიური და მინერალური თვისებები შეიცვალა და კრისტალად გადაიქცა.

# დიდ ბრიტანეთში მუზეუმმა მანიაკი ქალის საცვალი იყიდა

**ბრიტანეთში მუზეუმმა გამოფენისთვის 2,5 ათას ფუნტ სტერლინგად მანიაკი ქალის როუზ უესტს საცვალი შეიძინა. ამის შესახებ Metro წერს. True Crime Museum-ში მხოლოდ დანაშაულთან დაკავშირებული ექსპონატებია გამოფენილი.**




როგორც გამოცემა წერს, როუზ ვესტმა და მისმა მეუღლემ ფრედ ვესტმა დიდ ბრიტანეთში 1973 წლიდან 1987 წლამდე მრავალი დანაშაული ჩაიდინეს. ცნობილია, რომ მათ აწამეს სულ მცირე ცხრა ქალი. წყვილი 1994 წელს დააკავეს. მომდევნო წელს ფრედი გარდაიცვალა და 70 წლის როუზი კი ისევ ციხეშია.

მუზეუმის კურატორის ჯოელ გრიგსის მონათხრობის მიხედვით, მას საკმაოდ იაფად მანიაკი ქალის საცვლის ყიდვა პირველად იმ ციხის ზედამხედველმა ურჩია, სადაც როუზი სასჯელს იხდიდა, თუმცა მაშინ ამ შენაძენზე უარი თქვა, მოგვიანებით საცვალი აუქციონზე გაიტანეს, მაგრამ რეკლამის წესების დარღვევის გამო ნივთი აღარ გაიყიდა.

გრიგსის თქმით, მუზუემის 10 წლისთავთან დაკავშირებით, მან ისევ დაიწყო როუზის საცვლის ყიდვაზე ფიქრი, იგი დაუკავშირდა იმავე ციხის ზედამხედველს, რომელიც იმ დროისთვის პენსიაზე იყო გასული, თუმცა ამჯერად ექსპონატში უკვე საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა.

გრიგსმა აღნიშნა, რომ მანიაკი ქალის საცვლები შეიძლება სრულიად ჩვეულებრივი რამ არის, თუმცა ეს ჩვეულებრივი ნივთი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 15 აგვისტოს**